1 513

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ხუთშაბათი 22 თებერვალი 1940 წ.

№ 43 (5744)

ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ, ГРУЗИНСКОЙ ССР

# ბოლშევიკურად შევხვდეთ მოახლოვებულ გაზაფხულს!

პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები სოფლად თანხვდებიან საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას. ბოლშევიკები სოფლად ამოწმებენ, თუ როგორ ხორციელდება პარტიის XVIII ყრილობისა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და განვითარების შესახებ, პარტიული ორგანიზაციების ბიუროები როგორ ამაღლებენ კომუნისტების ავანგარდულ როლს მტს-ებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

გასული წელი აღინიშნა დიდმნიშვნელოვანი მოვლენებით სოციალისტურ მიწათმოქმედებაში. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დროზე გამოამჟღავნა და ძირშივე აღკვეთა განვითარება ტენდენციებისა, რომლებსაც შეეძლოთ ზიანი მიეყენებინათ კოლმეურნეობების საფუძველთა საფუძვლისათვის — მათი საზოგადოებრივი მეურნეობისათვის. მტკიცედ და გადაჭრით იქნა გამოსწორებული პარტიის პოლიტიკის უაღრესად უხეში დამახინჯებანი საკოლმეურნეო მიწათსარგებლობის დარგში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოებრივი საარტელო მეურნეობის განმტკიცებასა და ზრდას.

მოწინავე სასოფლო პარტორგანიზაციებში განმტკიცდა პასუხისმგებლობის გრძნობა არტელის ბედიღბლისათვის. კომუნისტები ახლა უფრო ღრმად სწვდებიან კოლმეურნეობათა ცხოვრებას, თავს ანებებენ წვრილმან მეურვეობას, ადმინისტრირებას.

„საჭიროა შევიგნოთ, — ამბობდა პარტიის XVIII ყრილობაზე ამხ. ანდრეევი, — რომ კოლმეურნეობებს ესაჭიროებათ სერიოზული ხელმძღვანელობა და უნდათ ჩვენგან ასეთი ხელმძღვანელობა". საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ეს მითითება გახდა ერთერთ უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმად ამა თუ იმ სასოფლო პარტორგანიზაციის მუშაობის შეფასების დროს.

მკვეთრად, პიროვნებათა მიუხედავად აკრიტიკებენ კომუნისტები ხელმძღვანელობის ხარისხსა და სტილს, ააშკარავებენ დაშვებულ ნაკლოვანებებს. კიევის ოლქის კიევის რაიონის ბუდაევის სასოფლო პარტორგანიზაციის კრებაზე კომუნისტები აცხადებდნენ, რომ აქ სუსტად იყენებდნენ არტელის გამგეობის მუშაობაზე კონტროლის უფლებას. მართალია, პარტიულ კრებებზე ხშირად ისმენდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარის ანგარიშს, მაგრამ ეს ფორმის გულისათვის კეთდებოდა. თავმჯდომარეს სიტყვას უჯერებდნენ და არც კი ცდილობდნენ გამოერკვიათ, სწორად სახავდა თუ არა ის საქმის მდგომარეობას. ფერმებში, ბრიგადებში არ იყო პარტიული თვალი. გასაკვირი არ არის, რომ ორგანიზაციის მდივანი ამხ. ზახარჩენკო იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „1939 წელს კოლმეურნეობის მუშაობა დაეცა ყველა მაჩვენებლის მიხედვით".

ბუდაეველი კომუნისტების მიერ აღნიშნული ნაკლოვანებანი ახასიათებენ მთელ რიგ სხვა პარტიულ ორგანიზაციებს. ზოგიერთი პარტორგანიზაცია სჯერდება ნაკლოვანებათა რეგისტრაციას ნაცვლად იმისა, რომ ძირშივე აღკვეთოს და თავიდან აიცილოს ისინი. ზოგიერთს ავიწყდება, რომ ხელმძღვანელობა —ეს ნიშნავს წინასწარ განჭვრეტას. ისინი წინ არ იხედებიან, სჯერდებიან მიმდინარე დღის შედეგებს. ბოლოს, ზოგიერთები გვერდს აუვლიან ხოლმე ახლის კვირტებს, მათ ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს დროზე შეაფასონ, ხელი შეუწყონ ამ კვირტებს, მიხვდნენ მათ მნიშვნელობას.

გამოდიან რა კრებებზე, კომუნისტები სწორად უკავშირებენ ჩვენს საერთო ამოცანებს თავიანთი კოლმეურნეობის, მტს-ის, საბჭოთა მეურნეობის მორიგ პრაქტიკულ საქმეებს. ასეთ პირველხარისხოვან საქმეს წარმოადგენს ახლა მზადება საგაზაფხულო თესვისათვის, რომელიც საჭიროა ჩავატაროთ სანიმუშოდ, მაღალ აგროტექნიკურ დონეზე. მაგრამ შეცდომა იქნებოდა ამ საერთო ფორმულის იქით არ დაგვენახა თესვის ახლანდელი კამპანიის დამახასიათებელი თავისებურებანი. ისინი, ეს თავისებურებანი, ორია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს კოლმეურნეობებში მარცვლეული და ხარისხოვანი თესვის დაგეგმვის ახალი წესი და ასფუთოვანთა მოძრაობა.

კოლმეურნეობებში ნათესების დაგეგმვის ახალი წესის დედაარსი მდგომარეობს იმაში, რომ თვითონ კოლმეურნეები დაწესებული ფართობის ფარგლებში სწყვეტენ, თუ სად, რამდენი, რა კულტურა, სახელდობრ რა ჯიშის კულტურა დათესონ. ეს გასაქანს აძლევს კოლმეურნეთა ინიციატივას, ზრდის მათ პასუხისმგებლობას მაღალი მოსავლისათვის. უკვე პირველი დაახლოვებითი გამოანგარიშება გვიჩვენებს, რომ ნათესების დაგეგმვის კანონების განხორციელებას მარტო შეუძლია მოგვცეს დამატებით ოთხასი მილიონი ფუთი პური მთელ საბჭოთა კავშირში!

ასეთია მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების პირველი შინაგანი რეზერვი, რომელიც გააჩნია წელს სოფლის მეურნეობას. სასოფლო პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და პარტიულმა ხელმძღვანელებმა მთლიანად უნდა გამოიყენონ იგი და, როგორც ამხ. ხრუშჩოვი ამბობდა, ახლებურად გვიჩვენონ თავი ამ საქმეში. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ვერ ამჩნევენ ან არ სურთ შეამჩნიონ, რომ ცხოვრებამ დაგეგმვაში ძირეული ცვლილებები შეიტანა. ოდესის ოლქის ტროიცკოეს რაიონში გეგმები შტამპით მზადდება რაიონის სამიწათმოქმედო განყოფილებაში, და კოლმეურნეთა ყოველგვარ ცდებს გამოსთქვან თავიანთი აზრი იქ დიდი წინააღმდეგობით ხვდებიან. არტელ „ჩერვონი პრაპორის" წევრთა კრებაზე გამოვიდა უბნის აგრონომი ამხ. ოსტაპჩუკი და უაპელაციოდ განაცხადა:

— გეგმა საფუძვლიანად არის დამუშავებული რაიონული სამიწათმოქმედო განყოფილების, კოლმეურნეობის თავმჯდომარისა და ჩემს მიერ. წინადადება არის დავამტკიცოთ იგი.

განა ცხადი არ არის, რომ ამ შემთხვევაში ამხ. ოსტაპჩუკი აღმოჩნდა „გეგმის დამნერგავი აგრონომის" არასახარბიელო როლში, რომელიც გაურბის კოლმეურნეთა ცოცხალ გამოცდილებას?

კოლმეურნეთა აზრს ანგარიშს არ უწევენ რაიონის სხვა არტელებშიც. აქ ხშირად ახშობენ მოწინავე ადამიანთა შემოქმედებითს ინიციატივას, რაიონული ორგანიზაციები კი ამას ყურადღებას არ აქცევენ.

მრავალი კოლმეურნეობიდან მოდის სიგნალები იმის შესახებ, რომ ჭიანურდება საგაზაფხულო თესვის გეგმების შედგენა. არ შეიძლება შევურიგდეთ ამას. ბოლშევიკის წარმმართველი ხელი უნდა იგრძნობოდეს მინდვრის სამუშაოების მომზადების თვითეულ უბანზე და განსაკუთრებით ისეთ წამყვან უბანზე, როგორიცაა დაგეგმვა. შეიძლება მივაღწიოთ ინვენტარის კეთილხარისხოვან შეკეთებას, გავწმინდოთ თესლი, მაგრამ, თუ არ იქნება ყოველმხრივ მოფიქრებული, დასაბუთებული გეგმა, თესვის დროს გარდუვალია შეფერხებები!

აქ სავსებით მართებულია დანაკარგებთან ბრძოლის გახსენება. მათ შესახებ ჩვეულებრივ იწყებენ ლაპარაკს მოსავლის აღების წინ, როდესაც მთელი ძალღონე იქითკენ არის მიმართული, რომ უკანასკნელ მარცვლამდე ავიღოთ მოყვანილი მოსავალი. მაგრამ საჭიროა საკითხი უფრო ფართოდ დავაყენოთ. სასოფლო პარტიული ორგანიზაციები მოთმინებით, ყოველდღიურად უნდა უმარტავდნენ კოლმეურნეებს, რომ ყოველი გამოუყენებელი შესაძლებლობა ყოველ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოში — სწორედ ეს არის დანაკარგები მემინდვრეობასა და მეცხოველეობაში. დაგვიანებით დაიწყე თესვა, გაიყვანე მინდვრად შეუკეთებელი ტრაქტორები, არ მოამზადე თესლი — და მიწისაგან მიიღებ უფრო ნაკლებს, ვიდრე შეგეძლო მიგეღო. სოფლის ბოლშევიკებს ჯერ კიდევ დიდი მუშაობა მოელით, რომ გაზაფხულს ყოველმხრივ შეიარაღებულნი შეხვდნენ. ავიღოთ თუნდაც ტრაქტორების რემონტი: ღღევანდელი ნაკრები ცნობა გვიჩვენებს, რომ ჩამორჩენა ჯერ სრულებითაც არ არის დაძლეული. ასეთი ჩამორჩენა განსაკუთრებით საშიშია სამხრეთ რაიონებში, რომლებიც პირველნი იწყებენ თესვას.

მოსავლიანობის გადიდების მეორე დიდმნიშვნელოვანი რეზერვია ასფუთოვანთა მოძრაობა. ფართო ტალღად ედება იგი მთელს კავშირს და ამ მოძრაობის ხალხურობაშია მისი სიცოცხლისუნარიანობისა და მზარდი ძალის საწინდარი. უკვე გასულ წელს ჩვენში ცოტა როდი იყო ბრიგადები და კოლმეურნეობები, რომლებმაც აიღეს ასფუთიანი მოსავალი მთელ თავის ფართობზე. უფრო მეტიც, ჰექტარიდან ას-ასი ფუთი და უფრო მაღალი მოსავალი მიიღეს მთელმა ოლქებმა და მხარეებმა, როგორც, მაგალითად, ზაპოროჟიეს ოლქმა და კრასნოდარის მხარემ. დანარჩენი მხარეებისა და ოლქების ღირსების საქმეა მიაღწიონ ამ დონეს. დასახული ამოცანის რეალობა მდგომარეობს ადამიანებში, საკოლმეურნეო წყობილების მიერ სათუთად გამოზრდილი მაგარი კადრების მჩქეფარე აქტივობაში, სოფლის მეურნეობის საუცხოო ტექნიკურ აღჭურვილობაში, კომუნისტების ავანგარდულ როლში.

სოციალისტური შეჯიბრება ასფუთიანი მოსავლისათვის დღითიდღე ფართოვდება. შეჯიბრების ხელშეკრულებებს ურთიერთ შორის სდებენ ბრიგადები, კოლმეურნეობები, ოლქები, მხარეები. პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ შეჯიბრებას, არ უნდა ჩქმალავდნენ მოწინავეთა გამოცდილებას, არამედ ამრავლებდნენ მას, ებრძოდნენ ხმაურობას, სიტყვების რახარუხს, მრავალისაღმთქმელ დეკლარაციებს, რომლებიც განმტკიცებული არ არიან საქმით. ბოლშევიკები თავიანთი სიტყვის პატრონები უნდა იყვნენ!

დღეს ქვეყნდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ. ორასზე მეტი კოლმეურნეობა, მტს, საბჭოთა მეურნეობა, სამეცნიერო ინსტიტუტი დაჯილდოებულია ორდენებით სოფლის მეურნეობის აღმავლობაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის და სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მაჩვენებელთა გადამეტებით შესრულებისათვის ორი წლის — 1937-1938 წლების განმავლობაში.

ამ მოწინავეთა შორის მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ არიან ცნობილნი როსტოვის ოლქის აზოვის მტს; მოსკოვის ოლქის დმიტროვის რაიონის კოლმეურნეობა „პობედა"; იაროსლავლის ოლქის მეჯიშეობის საბჭოთა მეურნეობა „კარავაევო"; მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია და მრავალი სხვანი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ახალ ძალებს შეჰმატებს შეჯიბრებაში ჩაბმულთა რიგებს, აღაფრთოვანებს მათ ახალ-ახალი სახელოვანი გამარჯვებებისათვის. თვითეული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, მტს-ის სანუკვარი ოცნება გახდება მისწრაფება არა მარტო მხარდამხარ მისდიოს ორდენოსან კოლექტივებს, არამედ გაუსწროს კიდეც მათ თავისი თავდადებული შრომით სამშობლოს საკეთილდღეოდ. შეჯიბრების დროში კიდევ უფრო მაღლა აფრიალდება სოციალისტურ მინდვრებზე!

საბჭოთა ადამიანებს აქვთ შესანიშნავი ტრადიცია — არა მარტო შეასრულონ, არამედ გადამეტებითაც შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი. საგაზაფხულო თესვის დროზე და სანიმუშოდ ჩატარებისათვის, მოსავლიანობის გადიდების ყველა რეზერვის მაქსიმალური გამოყენებისათვის კოლმეურნეთა ბოლშევიკური მობილიზაციით ჩვენ წელს მოვიპოვებთ ნამდვილად სტალინურ მოსავალს, მივაღწევთ ხალხის კიდევ უფრო შეძლებულ ცხოვრებას.

**„პრავდის" მოწინავე, 21/II.**

## ბულგარეთის დესპანი ბ-ნი ხრისტოვი მიიღო ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა ა-წ. 21 თებერვალს მიიღო ამას წინათ დანიშნული ბულგარეთის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი ტოდორ ხრისტოვი.

## ოპერატიული ცნობა

### ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა

21 თებერვლის განმავლობაში ფრონტზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

19-21 თებერვლის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ფრონტზე, **კოივისტოს** სიმაგრის რაიონის ჩათვლით, დაიკავეს 176 თავდაცვითი გამაგრებული პუნქტი, მათ შორის 37 რკინა-ბეტონის საარტილერიო ნაგებობა.

ჩვენი ავიაცია აწარმოებდა აქტიურ საბრძოლო მოქმედებას მტრის ჯარებსა და სამხედრო ობიექტებზე. მომხდარ საჰაერო ბრძოლების დროს ჩამოგდებულია მტრის 16 თვითმფრინავი.

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის აღმავლობაში მიღწეული შესანიშნავი წარმატებებისათვის და ორი წლის განმავლობაში, 1937 და 1938 წლებში, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მაჩვენებელთა გადაჭარბებით შესრულებისათვის — **დაჯილდოებულ იქნან** გამოფენის შემდეგი მონაწილენი:

### ლენინის ორდენით

1. **აზოვის მტს-ი** — როსტოვის ოლქი.
2. **აქტანიშის მტს-ი** — თათრეთის ასსრ.
3. **ველიკი ოქტიაბრის მტს-ი** — სუმის ოლქის ულიანოვკის რაიონი.
4. **ვორონკოვის მტს-ი** — მოლდავეთის ასს რესპუბლიკის რიბნიცის რაიონი.
5. **დიურტიულის მტს-ი** — ბაშკირეთის ასსრ.
6. **კაგანოვიჩის სახელობის მტს-ი** — ოდესის ოლქის გრუშკის რაიონი.
7. **კაგანოვიჩის სახ. რაიონის მტს-ი** — კრასნოდარის მხარის კაგანოვიჩის რაიონი.
8. **კაგარლიკის მტს-ი** — კიევის ოლქის კაგარლიკის რაიონი.
9. **კამენსკის სტალინის სახელობის მტს-ი** — კიროვოგრადის ოლქის კამენსკის რაიონი.
10. **კელესის მტს-ი**—სამხრეთ-ყაზახეთის ოლქის კელესის რაიონი.
11. **ორინის მტს-ი** — კამენეც-პოდოლსკის ორინის რაიონი.
12. **პეტროვსკის მტს-ი** — ზაპოროჟიეს ოლქის სივაშის რაიონი.
13. **რეგარის მტს-ი** — ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის რეგარის რაიონი.
14. **ტერნოვკის მტს-ი** — ვინიცის ოლქის ჯულინის რაიონი.
15. **კოლმეურნეობა „ანასტვაცი"** — სომხეთის სს რესპუბლიკის ვაჰარშაპატის რაიონი.
16. **ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობა** — კრასნოდარის მხარის კაგანოვიჩის რაიონის სტარო-ველიჩკოს სასოფლო საბჭო.
17. **ბელორუსიის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის სახელობის კოლმეურნეობა** მინსკის ოლქის ლიუბანის რაიონი.
18. **ვოლოდარსკის სახელობის კოლმეურნეობა** — მოგილევის ოლქის მოგილევის რაიონი.
19. **კოლმეურნეობა „გიგანტი"**— ჩელიაბინსკის ოლქის პოლოვინოეს რაიონი.
20. **კოლმეურნეობა „ილიჩი"** — ვორონეჟის ოლქის დობრინკის რაიონი.
21. **კოლმეურნეობა „პამიატ ილიჩა"** — მოსკოვის ოლქის მიტიშჩის რაიონი.
22. **კალინინის სახელობის კოლმეურნეობა** — ჰაკასეთის ავტონომიური ოლქის ბაგრადის რაიონის აბ-პერევოზის სასოფლო საბჭო.
23. **კლარა ცეტკინის სახელობის კოლმეურნეობა**—აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის შამხორის რაიონის ანნინის სასოფლო საბჭო.
24. **კოლმეურნეობა „კრასნი მაიაკი"** — კრასნოიარსკის მხარის მინუსინსკის რაიონი.
25. **ლენინის სახელობის კოლმეურნეობა** — კამენეც-პოდოლსკის ოლქის ჩემეროვცის რაიონის ლეტოვსკის სასოფლო საბჭო.
26. **რემედასის საოლქო კომიტეტის სახელობის კოლმეურნეობა** — ლენინგრადის ოლქის კრასნოე სელოს სასოფლო საბჭო.
27. **კოლმეურნეობა „ორგანიზატორი"** — არხანგელსკის ოლქის ისაკოგორსკის რაიონი.
28. **2 მაისის სახელობის კოლმეურნეობა**—როსტოვის ოლქის ცელინის რაიონი.
29. **კოლმეურნეობა „პერემოგა"** —კიევის ოლქის კაგარლიკის რაიონის სოფელი ბურტი.
30. **კოლმეურნეობა „პობედა"**— მოსკოვის ოლქის დმიტროვის რაიონი.
31. **კოლმეურნეობა „პუტ ილიჩა"** — როსტოვის ოლქის სალსკის რაიონი.
32. **კოლმეურნეობა „სმენა"** — ლენინგრადის ოლქის დემიანსკის რაიონი.
33. **კოლმეურნეობა „სოვეტსკაია დერევნია"** — გორკის ოლქის ბოგოროდსკოეს რაიონის ბუკინოს სასოფლო საბჭო.
34. **სტალინის სახელობის კოლმეურნეობა** — სტალინოს ოლქის არტემოვსკის რაიონის პრივოლსკის სასოფლო საბჭო.
35. **სტალინის სახელობის კოლმეურნეობა** — ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკის ვურნარის რაიონის კოლცოვის სასოფლო საბჭო.
36. **სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობა** — ნიკოლაევის ოლქის გოლაია პრისტანის რაიონის ალექსეევსკის სასოფლო საბჭო.
37. **ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა**—პოლესიეს ოლქის ბრაგინის რაიონი.
38. **ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობა** — კამენეც-პოდოლსკის ჩემეროვცის რაიონის გუსატინოს სასოფლო საბჭო.
39. **ბახმაჩის საბჭოთა მეურნეობა** — ჩერნიგოვის ოლქის ბახმაჩის რაიონი.
40. **საბჭოთა მეურნეობა „ვერტიკიევკა"**—ჟიტომირის ოლქის ტროიანოვის რაიონი.
41. **საბჭოთა მეურნეობა „გომონტოვო"**—ლენინგრადის ოლქის ვოლოტოვოს რაიონი.
42. **საბჭოთა მეურნეობა „გორკი-II"** — მოსკოვის ოლქის კუნცევოს რაიონი.
43. **შინსახკომის საბჭოთა მეურნეობა „ისტოკი"** — სვერდლოვსკის ოლქი.
44. **საჯიშე საბჭოთა მეურნეობა „კარავაევო"** —იაროსლავლის ოლქის კოსტრომის რაიონი.
45. **მეთესლეობისა და საჯიშე საბჭოთა მეურნეობა „კუბანი"** — კრასნოდარის მხარის ვანოვსკოეს რაიონი.
46. **ს. მ. ბუდიონის სახელობის სახელმწიფო ცხენსაშენი** — სმოლენსკის ოლქი.
47. **სიმენტალის პირუტყვის სიჩევის სახელმწიფო საჯიშე**—სმოლენსკის ოლქი.
48. **საბჭოთა მეურნეობა „ტოროსოვო"** — ლენინგრადის ოლქის ვოლოტოვოს რაიონი.
49. **ცელინის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა** — როსტოვის ოლქი.
50. **მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია**, ქ. მოსკოვი.
51. **მებამბეობის სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი**, ქ. ტაშკენტი.
52. **კოლმეურნეობა „ზავეტი ილიჩა"**?



### შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **ვიშე-ტარასოვის მტს-ი**—დნეპროპეტროვსკის ოლქის კალინინის რაიონი.
2. **დრისის მტს-ი**—ვიტებსკის ოლქის დრისის რაიონი.
3. **ელასის მტს-ი** — მარეთის ასს რესპუბლიკის ელასის რაიონი.
4. **ზავიალოვკის მტს-ი**—უდმურტეთის ასსრ.
5. **კასუმ-იზმაილოვის მტს-ი** — აზერბაიჯანის სსრ.
6. **კიროვის სახელობის მტს-ი** — ჩკალოვის ოლქის ბუგურუსლანის რაიონი.
7. **კრასნორეჩენსკის მტს-ი**—ყირგიზეთის სს რესპუბლიკის კანტის რაიონი.
8. **კუპინოს მტს-ი** — ნოვოსიბირსკის ოლქის კუპინოს რაიონი.
9. **მედვედოვკის მტს-ი**—კრასნოდარის მხარის ტიმაშევკის რაიონი.
10. **ნოვო-პავლოვსკის მტს-ი** — ნიკოლაევის ოლქის ჩაპლინის რაიონი.
11. **პოგრუზნინოს მტს-ი**—კუიბიშევის ოლქის კოშკის რაიონი.
12. **პოპელნიანკის მტს-ი**—ჟიტომირის ოლქი.
13. **ჩემეროვცის მტს-ი**—კამენეც-პოდოლსკის ოლქის ჩემეროვცის რაიონი.
14. **ა. მ. პეშკოვის სახელობის კოლმეურნეობა**—გორკის ოლქის კსტოვის რაიონის ვეტჩაკოვსკის სასოფლო საბჭო.
15. **ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა** — ვინიცის ოლქის ჩერნევცის რაიონი.
16. **კოლმეურნეობა „ბოლშევიკი"** — პერმის ოლქის ჩუსოვის რაიონის ვ. კალანსკის სასოფლო საბჭო.
17. **კოლმეურნეობა „ზორეცი"**— გორკის ოლქის არზამასის რაიონის სემიონოვსკის სასოფლო საბჭო.
18. **ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობა** — ტულის ოლქის ვოლოვოს რაიონი.
19. **ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობა** —ვინიცის ოლქის სლობოდო-პოდლესიეს სასოფლო საბჭო.
20. **კოლმეურნეობა „ვიორ-ფრონტი"**—კომის ასსრ უსტ-კულომის რაიონის ვოლდის სასოფლო საბჭო.
21. **კოლმეურნეობა „გროზა კაპიტალუ"** — კრასნოიარსკის მხარის ნოვოსელოვოს რაიონის ნოვოსელოვოს სასოფლო საბჭო.
22. **კოლმეურნეობა „20 ლეტ ოქტიაბრია"**—თურქმენეთის სსრ ტახტა-ბაზრის რაიონი.
23. **ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობა** — კამენეც-პოდოლსკის ოლქის ჩემეროვცის რაიონის კუგაევსკის სასოფლო საბჭო.
24. **ილიჩის სახელობის კოლმეურნეობა** — მოლდავეთის ასსრ კოტოვსკის რაიონის კუიალნიცკის სასოფლო საბჭო.
25. **კოლმეურნეობა „იტიფოკი"** ტაჯიკეთის სსრ ისფარის რაიონის კალაშ-მაზარის სასოფლო საბჭო.
26. **კალინინის სახელობის კოლმეურნეობა № 2**—ქალ. კრასნოდარის კაგანოვიჩის საგარეუბნო რაისაბჭო.
27. **კალინინის სახელობის კოლმეურნეობა** — ომსკის ოლქის ტარსკის რაიონის სეპტოვსკის სასოფლო საბჭო.
28. **კოლმეურნეობა „კზილ-მაიაკი"**—ბაშკირეთის ასსრ კანდრის რაიონის ჩუაბიგაშევის სასოფლო საბჭო.
29. **კოლმეურნეობა „კრასნაია ზვეზდა"** — კრასნოდარის მხარის პლასტუნოვსკის რაიონის პლასტუნოვსკის სასოფლო საბჭო.
30. **კოლმეურნეობა „კრასნი მაიაკი"** — გორკის ოლქის გოროდეცის რაიონის 1-ლი კუმოხის სასოფლო საბჭო.
31. **კოლმეურნეობა „კრასნი ტამანეცი"** — კრასნოდარის მხარის სლავიანსკის რაიონის სლავიანსკის სასოფლო საბჭო.
32. **მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა** — ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ ლესკენის რაიონის იროჰის სასოფლო საბჭო.
33. **მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა** — ალტაის მხარის შიპუნოვის რაიონი.

### ლენინის ორდენით (გაგრძელება)

34. **მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა** — ვინიცის ოლქის იამპოლსკის რაიონი.
35. **ნ. იშჩერიაკოვის კოლმეურნეობა** — ჩუვაშეთის ასსრ იალჩიკოვის რაიონის ნ. ბაბატირის სასოფლო საბჭო.
36. **შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობა**—პერმის ოლქის ვერხნე-მულინსკის რაიონის ვერხნე-მულინსკის სასოფლო საბჭო.
37. **პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობა** — სომხეთის სსრ კამარლუს რაიონი.
38. **კოლმეურნეობა „პერშე ტრავნია"** — ხარკოვის ოლქის კრასნოდარის რაიონის კრესტიშჩანსკის სასოფლო საბჭო.
39. **კოლმეურნეობა „პუტ ლენინა"** — კომის ასსრ იჟემის რაიონის კიტევსკის სასოფლო საბჭო.
40. **სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობა** — ნოვოსიბირსკის ოლქის ლენინსკ-კუზნეცკის რაიონის ბაიკამის სასოფლო საბჭო.
41. **„17 მიუდის" სახელობის კოლმეურნეობა**—ირკუტსკის ოლქის კირენსკის რაიონის ხაბაროვსკის სასოფლო საბჭო.
42. **კოლმეურნეობა „სმენა"** მარეთის ასსრ მთიან მარეთის რაიონის ახმილის სასოფლო საბჭო.
43. **საბჭოთა მეურნეობა „სობოლინი"** — კალინინის ოლქის სანდოვის რაიონის ვერხოვსკის სასოფლო საბჭო.
44. **სტალინის სახელობის კოლმეურნეობა** — კრასნოდარის მხარის ივანოვსკის რაიონის ივანოვსკის სასოფლო საბჭო.
45. **სტალინის სახელობის კოლმეურნეობა** — კრასნოდარის მხარის ნოვოსელოვის რაიონის ლეშინსკის სასოფლო საბჭო.
46. **კოლმეურნეობა „სტახანოვეცი"** — უდმურტეთის ასსრ კულიგის რაიონის ტიმენის სასოფლო საბჭო.
47. **ანტონინის ჭარხლის საბჭოთა მეურნეობა** — კამენეც-პოდოლსკის ოლქის ანტონინის რაიონი.
48. **მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობა „ბოევოი"** — ომსკის ოლქის ისილ-კულის რაიონი.
49. **საბჭოთა მეურნეობა „გორნიაკ № 1"**—სტალინის ოლქის კონსტანტინოვკის რაიონი.
50. **მელორეობის საბჭოთა მეურნეობა „ინგულე"**—ნიკოლაევის ოლქის ხერსონის რაიონი.
51. **საბჭოთა მეურნეობა „ინდუსტრია"** — კომბინატ აპატიტისა — მურმანსკის ოლქის კიროვის რაიონი.
52. **მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა „კრასნი"** — ყირიმის ასსრ სიმფეროპოლის რაიონი.
53. **საჯიშე საბჭოთა მეურნეობა „კრივცი"** — ვიტებსკის ოლქის ლიოზნოს რაიონი.
54. **საბჭოთა მეურნეობა „მელიოთონე"** — ჩიტის ოლქის პეტროვსკ-ზავოდსკის რაიონი.
55. **საბჭოთა მეურნეობა „სარძეო"** — ვოლოგდის ოლქის ვოლოგდის რაიონი.
56. **პოვენეცკის საბჭოთა მეურნეობა** თეთრზღვა—ბალტიის კომბინატისა—კარელიის ასსრ მედვეჟეგორსკის რაიონი.
57. **საბჭოთა მეურნეობა „რადუშნი"** — დნეპროპეტროვსკის ოლქის კრივოი როგის რაიონი.
58. **საბჭოთა მეურნეობა „რჟავეცკი"** — ორიოლის ოლქის ზალეგოშჩის რაიონი.
59. **მეჭარხლეობის საბჭოთა მეურნეობა სოკოლოვსკის შაქრის კომბინატისა** — ვინიცის ოლქის კრიჟოპოლსკის რაიონი.
60. **საჯიშე საბჭოთა მეურნეობა „ტერეზინო"** — კიევის ოლქის ბელაიაცერკოვის რაიონი.
61. **მერძეობის საბჭოთა მეურნეობა „ჩერევკოვო"** — სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახკომისარიატისა — არხანგელსკის ოლქი.
62. **შირვანის ბამბის მეთესლეობის № 2 საბჭოთა მეურნეობა** — აზერბაიჯანის სსრ ალიბაირამის რაიონი.
63. **ენგელსის სახელობის საბჭოთა მეურნეობა** — პენზის ოლქის ტერნოვის რაიონი.
64. **შუა-აზიის ირიგაციის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი**—ქალ. ტაშკენტი.
65. **სრულიად-საკავშირო სახელექციო-გენეტიკური ინსტიტუტი**—ქალ. ოდესა.
66. **სსრ კავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთის მარცვლეული მეურნეობის ინსტიტუტი.**
67. **სამეცნიერო-საკვლევო ავტოსატრაქტორო ინსტიტუტი „ნატი"**—ქალ. მოსკოვი.
68. **ციმბირის მარცვლეული მეურნეობის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტი** — ქალ. ომსკი.
69. **სმოლენსკის მემინდვრეობის საოლქო საცდელი სადგური** — სმოლენსკის ოლქი.

### „საპატიო ნიშნის" ორდენით

1. **არხის მტს** — ჩრდილოეთ-ოსეთის ასსრ ორჯონიკიძის რაიონი.
2. **ბუგალიშის მტს** — სვერდლოვსკის ოლქის მანჩაჟის რაიონი.
3. **გავრილოვო-პოსადსკის მტს** — ივანოვოს ოლქი.
4. **გლუშკოვის მტს** — კურსკის ოლქი.
5. **ესაულსკაიას მტს** — ჩელიაბინსკის ოლქის სოსნოვსკის რაიონი.
6. **ირკლეევის მტს** — პოლტავის ოლქის ირკლეევის რაიონი.
7. **კამენო-მოსტოვაიას მტს**—ოდესის ოლქის პერვომაისკის რაიონი.
8. **ყიზლარის მტს** — ორჯონიკიძის მხარე.
9. **კრასნოიარსკის მტს** — ვოლგისპირა გერმანელთა ასსრ კრასნოიარსკის რაიონი.
10. **მალმიჟის მტს**—კიროვის ოლქის მალმიჟის რაიონი.
11. **ნიკოლაევის მტს** — სარატოვის ოლქის ბალაკოვის რაიონი.
12. **ორჯონიკიძის მტს** — ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ სუნჟის რაიონი.
13. **პუშკინის მტს** — კუსტანაის ოლქის ფედოროვკის რაიონი.
14. **რომოდანოვის მტს** — მორდვეთის ასსრ.
15. **ტაინჩის მტს** — ჩრდილო-ყაზახეთის ოლქის კრასნოარმეისკის რაიონი.
16. **ტალოვსკის მტს** — ომსკის ოლქის შერბაკულის რაიონი.
17. **უდარნაიას მტს** — ყარაგანდის ოლქის ტელმანის რაიონი.
18. **ხონხოლოის მტს** — ბურიატ-მონღოლეთის ასსრ მუხორშიბირის აიმაკი.
19. **ჩკალოვის მტს**—ყირიმის ასსრ ტელმანის რაიონი.
20. **მეტინკის მტს** — კრასნოიარსკის მხარის მინუსინსკის რაიონი.
21. **იაკუშკის მტს** — კუიბიშევის ოლქის ნოვომალიკლის რაიონი.
22. **ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობა** — თურქმენეთის სსრ გეოკ-ტეპეს რაიონი.
23. **კოლმეურნეობა „აკ-ალტინ"**— ფერგანის ოლქის იზბასკენტის რაიონი.
24. **კოლმეურნეობა „ბაკინსკი რაბოჩი"** — აზერბაიჯანის სსრ ზანგელანის რაიონი.
25. **ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობა** — ნოვოსიბირსკის ოლქის გურიევსკის რაიონის სალაირის სასოფლო საბჭო.
26. **კოლმეურნეობა „ბოლშევიკ პოლეცი"**—ვოლოგდის ოლქის ბელოზერსკის რაიონის ნეგრინის სასოფლო საბჭო.
27. **კოლმეურნეობა „ბორბა"** — რიაზანის ოლქის სპასკის რაიონის უსტრანსკის სასოფლო საბჭო.
28. **კოლმეურნეობა „ვესიოლი ტრუდი"** — პავლოდარსკის ოლქის ურლიუტიუბის რაიონი.
29. **კოლმეურნეობა „ვირნი შლიახი"** — პოლტავის ოლქის გადიაჩის რაიონის გლუბოკო-დოლინსკის სასოფლო საბჭო.
30. **ვოიტინცევის სახელობის კოლმეურნეობა**—ტაშკენტის ოლქის აკ-კურგანის რაიონი.
31. **ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა** — ჩერნიგოვის ოლქის ბორზნიანის რაიონი.
32. **ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა**—ჩელიაბინსკის ოლქის უსტ-უისკოეს რაიონის დუბროვენსკის სასოფლო საბჭო.
33. **კოლმეურნეობა „ვოლგა"** — კუიბიშევის ოლქის ბოგდაშინის რაიონის ელხოვო-ოზერკოვსკის სასოფლო საბჭო.
34. **კოლმეურნეობა „8 მარტი"**— ბურიატ-მონღოლეთის ასსრ ტარბაგატაის აიმაკის ტარბაგატაის სასოფლო საბჭო.
35. **კოლმეურნეობა „გიგანტი"** — ირკუტსკის ოლქის ალარსკის რაიონის ტირგიტუის სასოფლო საბჭო.
36. **კოლმეურნეობა „გორშიხა"** — იაროსლავლის ოლქის იაროსლავლის რაიონი.
37. **გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობა** — საქართველოს სსრ, ზუგდიდის რაიონის სოფელი ორსანტია.
38. **კოლმეურნეობა „ოქტომბრის მე-12 წლისთავი"** — კურსკის ოლქის რაკიტნოეს რაიონის ბორისოპოლსკის სასოფლო საბჭო.
39. **კოლმეურნეობა „9 იანვარი"** — პენზის ოლქის ბაშმაკოვის რაიონი.
40. **კოლმეურნეობა „დერევენსკი კომუნარი"** — ივანოვის ოლქის გოროხოვეცის რაიონის კრასნოე სელოს სასოფლო საბჭო.
41. **ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობა** — ტაჯიკეთის სსრ კიროვაბადის რაიონი.
42. **კოლმეურნეობა „20 რიჩია უოვტნევოი რევოლუცii"** — სუმის ოლქის დუბოვიაზოვის რაიონის კრუპსკის სასოფლო საბჭო.
43. **კოლმეურნეობა „ჟოვტნევი ზორი"** — პოლტავის ოლქის დიკანკის რაიონის ნადეჟდოვის სასოფლო საბჭო.
44. **კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა** — ბუხარის ოლქის კარაკულის რაიონი.
45. **კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა** — სტალინგრადის ოლქის ნარიმანოვის რაიონის ნაჩალოვკის სასოფლო საბჭო.
46. **კალინინის სახელობის კოლმეურნეობა** — დნეპროპეტროვსკის ოლქის ვასილკოვკის რაიონის დებალცევსკის სასოფლო საბჭო.
47. **კარლ ლიბკნეხტის სახელობის კოლმეურნეობა** — სტალინოს ოლქის კონსტანტინოვკის რაიონის კონდრატიევსკის სასოფლო საბჭო.
48. **კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობა** — ორიოლის ოლქის ნიკოლსკის რაიონის ბელოშესტენსკის სასოფლო საბჭო.
49. **კოლმეურნეობა „კზილ ოქტიაბრი"** — ფერგანის ოლქის იზბასკენტის რაიონი.
50. **კოლმეურნეობა „კზილ-ოქტიაბრი"** — ხორეზმის ოლქის ურგენჩის რაიონი.
51. **კოლმეურნეობა „კზილ-იულდუზი"** — ფერგანის ოლქის იზბასკენტის რაიონი.
52. **კოლმეურნეობა „კოლოსი"**— ყირიმის ასსრ ჯანკოის რაიონი.
53. **კოლმეურნეობა „კომუნარი"** —ჟიტომირის ოლქის ჩუდნოვის რაიონის კრასნოვეტლოვსკის სასოფლო საბჭო.
54. **კოლმეურნეობა „კომუნისტი"** —ჩერნიგოვის ოლქის სრებნოეს რაიონი.
55. **კოლმეურნეობა „წითელი აღმოსავლეთი"** — სამხრეთ - ყაზახეთის ოლქის კელესის რაიონი.
56. **კოლმეურნეობა „კულტივატორი"** — კიროვის ოლქის შარანგის რაიონი.

(დასასრული იხ. მე- 2 გვ.)

1940 წლის 23 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში მოწვეულია

## საზეიმო სხდომა,

მიძღვნილი

## მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXII წლისთავისადმი და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XIX წლისთავისადმი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები სხდომაზე შედიან თავიანთი მანდატებით, ხოლო დანარჩენნი—მოსაწვევი ბილეთებით, რომლებსაც ანაწილებენ ქ. თბილისის პარტრაიკომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანებულება
## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### (დასასრული)

57. კოლმეურნეობა [illegible]
58. კოლმეურნეობა [illegible]
59. კოლმეურნეობა [illegible]
60. [illegible]
61. კოლმეურნეობა „წითელი პარტიზანი" — [illegible]
62. კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი" — [illegible]
63. კოლმეურნეობა [illegible]
64. კოლმეურნეობა [illegible] მენნიკი" — კრასნოდარის მხარის სლავიანსკის რაიონის სლავიანსკის სასოფლო საბჭო.
65. კოლმეურნეობა „კრასნი ტრაქტორი" — იაკუტიის ასს რესპუბლიკის მეგინო - კანგალასკის რაიონის ხარაქსის სასოფლო საბჭო.
66. კოლმეურნეობა „კურალპა" —ყარა - კალპაკეთის ასს რესპუბლიკის ჩიმბაის რაიონი.
67. კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობა—ორჯონიკიძის მხარის კუვინოს რაიონი.
68. კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობა — აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის საფარალის რაიონი.
69. კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობა—კრასნოდარის მხარის სლავიანსკის რაიონის სლავიანსკის სასოფლო საბჭო.
70. კიროვის სახელობის კოლმეურნეობა — რიაზანის ოლქის შილოვის რაიონის სანსკის სასოფლო საბჭო.
71. კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობა — კიევის ოლქის ლისიანკის რაიონის ფედიუკოვის სასოფლო საბჭო.
72. კოტოვსკის სახელობის კოლმეურნეობა—ოდესის ოლქის გრუშკის რაიონის სინკოვსკის სასოფლო საბჭო.
73. კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობა — ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის კურგან-ტიუბეს ავანგარდის სასოფლო საბჭო.
74. ლენინის სახელობის კოლმეურნეობა — ყირგიზეთის სს რესპუბლიკის კაგანოვიჩის რაიონის კაგანოვიჩის სასოფლო საბჭო.
75. ლენინის სახელობის კოლმეურნეობა — [illegible]
76. ლენინის სახელობის კოლმეურნეობა — [illegible]
77. კოლმეურნეობა [illegible]
78. კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნ" — [illegible]
79. კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნ" — [illegible]
80. კოლმეურნეობა [illegible]
81. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა — [illegible]
82. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა — [illegible] სასოფლო საბჭო.
83. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა – საქართველოს სს რესპუბლიკის მახარაძის რაიონის სოფელი შრომა.
84. კოლმეურნეობა „1 მაისი"— უდმურტეთის ასს რესპუბლიკის ალნაშის რაიონის გუვატინოს სასოფლო საბჭო.
85. კოლმეურნეობა „პროლეტარი" — სამარყანდის ოლქის კატაკურგანის რაიონი.
86. კოლმეურნეობა „რუხ დო კომმუნი" — ნიკოლაევის ოლქის გოლაია პრისტანის რაიონის ნოვოფედოროვკის სასოფლო საბჭო.
87. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა — საქართველოს სსრ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ოჩამჩირის რაიონის სოფელი ოთარა.
88. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა — ფერგანის ოლქის იანგი-კურგანის რაიონი.
89. ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა — ყირიმის ასსრ, კოლაის რაიონი.
90. 13 რიჩია ჟოვტნიას სახელობის კოლმეურნეობა—ვინიცის ოლქის იამპოლსკის რაიონის იანკულევსკის სასოფლო საბჭო.
91. ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობა — ზაპოროჟიეს ოლქის გენიჩის რაიონის ტუსკუს სასოფლო საბჭო.
92. ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობა — ტაჯიკეთის სსრ ლენინაბადის რაიონის იავის სასოფლო საბჭო.
93. ფრიდრიხ ენგელსის სახელობის კოლმეურნეობა — ომსკის ოლქის ლიუბინოს რაიონის მასლიანოვსკის სასოფლო საბჭო.
94. კოლმეურნეობა „2 პიატილეტკა" — [illegible]
95. კოლმეურნეობა „ჩერვონი ზორია" — [illegible]
96. კოლმეურნეობა „ჩერვონი პარტიზანი" — [illegible]
97. კოლმეურნეობა „ჩერვონი ზირკა" — [illegible]
98. ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობა — [illegible]
99. კოლმეურნეობა „16 პარტსიეზდი" — [illegible]
100. შჩორსის სახელობის კოლმეურნეობა — [illegible]
101. [illegible]
102. საჯიშე მეურნეობა „კრასნი ჩაბანი" — ნიკოლაევის ოლქის კალანჩაკის რაიონი.
103. ცხენსაშენი № 52 — ქტიუბინსკის ოლქის ჯურუნის რაიონი.
104. კაუჩუკის საბჭოთა მეურნეობა № 10 — ტულის ოლქის ტეპლო-ოგარევის რაიონი.
105. შინსახკომის საბჭოთა მეურნეობა № 1 — ალტაის მხარის ბარნაულის რაიონი.
106. საბჭოთა მეურნეობა „ნადეჟდინსკი" — ზღვისპირა მხარის ვლადივოსტოკის რაიონის ნადეჟდინსკის სასოფლო საბჭო.
107. ოქტომბრის 15 წლისთავის სახელობის საბჭოთა მეურნეობა — რიაზანის ოლქის ლებედიანის რაიონი.
108. საბჭოთა მეურნეობა „ხელიზოვო" — კალინინის ოლქის ნოვოტორჟოკის რაიონი.
109. უსტკამენოგორსკის მელორეობის საბჭოთა მეურნეობა — აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქის პრედგორნოეს რაიონი.
110. მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა „უტიოსი" — ივანოვოს ოლქის სერედის რაიონი.
111. ოჩამჩირის სტალინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა —საქართველოს სსრ, აჭარის ასს რესპუბლიკის ქობულეთის რაიონი.
112. კოლმეურნეობა „იანგი-კუჩ" —ბუხარის ოლქის სარი-ასიის რაიონი.
113. ნოვოსოკოლნიკის ხელის მეთესლეობის სადგური — კალინინის ოლქის ნოვოსოკოლნიკის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1940 წ. 20 თებერვალი.

## ქალები ტრაქტორებზე

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საქმეში ქალთა შრომის გამოყენებას უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. მექანიზაციის დონის ზრდასთან ერთად ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნილება ტრაქტორისტებზე, კომბაინერებზე, შოფერებზე, მაგრამ ამ დარგში ქალების მომზადებას ზოგან სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ.

ეს საკითხი სერიოზულად საქართველოს მიწსახკომში მხოლოდ მას შემდეგ დაისვა, რაც გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ქალების ანგელინას და სხვათა მოწოდება, აგრეთვე საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მიწსახკომის და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის დადგენილება 100 ათასი ტრაქტორისტი ქალის წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მომზადების შესახებ.

საქ. მიწსახკომმა და საქ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ამ მხრივ სერიოზული მუშაობა გასწიეს. წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ტრაქტორისტი ქალების მომზადების უკეთ დაყენების მიზნით ფართოდ გაიშალა სოცშეჯიბრება ავტოსატრაქტორო სკოლებს შორის, დროულად შესდგა პროგრამები, სასწავლო გეგმები, და სახელმძღვანელოებთან ერთად ისინი დროულად დაეგზავნა ადგილებს.

შედეგებიც კარგია. სსრ კავშირის მიწსახკომის გეგმით 1939 წელს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ საქართველოში სულ 670 ტრაქტორისტი ქალი უნდა მომზადებულიყო, აქედან უკვე მომზადდა 706 და 1 მარტამდე დამატებით გამოშვებული იქნება 183 ტრაქტორისტი ქალი, ამრიგად, 670 ქალის ნაცვლად საქართველოში სულ 889 ტრაქტორისტი ქალი მომზადდება.

მთელმა რიგმა ავტოსატრაქტორო სკოლებმა და მტს-ებმა ამ მხრივ მუშაობის სანიმუშო მაგალითები გვიჩვენეს. მაგალითად, წულუკიძის ავტო-სატრაქტორო სკოლამ, რომლის დირექტორად ამხ. აბზიანიძე მუშაობს, 100-ის ნაცვლად 112 კოლმეურნე ტრაქტორისტი ქალი მოამზადა. კერძოდ, ამავე სკოლის მასწავლებლებმა ინჟ. კვერნაძემ და ინჟ. კოტიშაძემ მოამზადეს 73 ტრაქტორისტი ქალი.

კარგი მაგალითები მოგვცა ამ მხრივ სართიჭალის ავტოსატრაქტორო სკოლამაც (დირექტორი — ამხ. ბერიძე). ამ სკოლის მასწავლებელმა ინჟ. პაპიაშვილმა ტრაქტორისტად მოამზადა 27 აზერბაიჯანელი კოლმეურნე ქალი, რომელთა უმრავლესობამ გამოცდები ფრიადზე ჩააბარა. სურამის ავტოსატრაქტორო სკოლამ (დირექტორი ამხ. ალ. ხატიაშვილი) წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მოამზადა 61 ტრაქტორისტი ქალი. აქ მარტო ამხ. ა. კურატიშვილმა 26 ტრაქტორისტი ქალი მოამზადა, ინჟ. ა. გვალიამ 21. ახალციხის ავტოსატრაქტორო სკოლამ მოამზადა 52 ტრაქტორისტი ქალი, გურჯაანისამ — 58.

კარგი მაგალითები გვიჩვენა ამ მხრივ ლანჩხუთის მტს-მა (დირექტორი — ამხ. ნ. ლაღაძე). ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით ლანჩხუთის მტს-მა მოამზადა 57 ტრაქტორისტი ქალი. კარგად იმუშავეს ამ მხრივ აგრეთვე კასპის, ახალციხის და ვანის მტს-ებმაც.

სსრ კავშირის მიწსახკომის ბრძანებით წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ტრაქტორისტი ქალების მომზადების საქმეში ენერგიული მუშაობისათვის 3 ათასი მანეთით დაჯილდოებულ იქნა წულუკიძის ავტოსატრაქტორო სკოლა. საქართველოს სსრ მიწსახკომმა თავისი მხრივ დააჯილდოვა ლანჩხუთის მტს-ის მექანიკოსი ინჟ. გაფრინდაშვილი, ახალციხის მტს-ის მექანიკოსი გევორქიანი, ახალციხის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი აკოფიანი, საქართველოს მიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველოს ინსპექტორი ინჟ. წაქაძე, წულუკიძის ავტოსატრაქტორო სკოლის ინჟინრები ამხ. კვერნაძე და კოტიშაძე, სართიჭალის ავტოსატრაქტორო სკოლიდან ინჟ. პაპიაშვილი და სხვ. სულ დაჯილდოებულ იქნა 30 მოწინავე სპეციალისტი.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ტრაქტორისტი ქალების მომზადების საკონტროლო დავალება საქართველოში გადაჭარბებით იქნა შესრულებული, ცალკეულმა მტს-ებმა ამ მხრივ მაინც უყურადღებობა გამოიჩინეს. მაგალითად, გორის მტს-მა პირველად ხუთი ჯგუფი გახსნა, რომელშიაც 60 კოლმეურნე ქალი იყო ჩაბმული, მაგრამ იმის გამო, რომ მათ ხელმძღვანელობა არ გაუწიეს, ეს ჯგუფები დაიშალნენ.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, აგრეთვე სამიწათმოქმედო ორგანოებმა მტკიცედ უნდა გაითვალისწინონ გასული წლის ნაკლოვანებანი და მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა ტრაქტორის მართვის ტექნიკის შესწავლის საქმეში ჩააბან კოლმეურნე ქალთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობაც.

**ს. თელია**

საქ. მიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველოს უფროსი.



წითელი არმიის თეატრის ახალი შენობა მოსკოვში. ფოტო კისლოვისა (საკდესის ფოტოკლიშე).

## წითელი არმიის ცენტრალური თეატრის არსებობის 10 წლისთავი
### თეატრის ახალი მონუმენტური შენობა
(მოსკოვი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

23 თებერვალს, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXII წლისთავის დღეს, სტუმართმოყვრულად გაიღება წითელი არმიის ახალი ცენტრალური თეატრის კარი. მისი მონუმენტური შენობა უზარმაზარი ხუთქიმიანი ვარსკვლავის სახით აღმართულია კომუნის მოედანზე. ეს არის სსრ კავშირის დედაქალაქის ერთერთი ყველაზე დიდი თეატრი.

მარმარილოს ფართო კიბეები ადის ფოიეში, საკონცერტო და მაყურებელთა დარბაზებში, რომლებიც მორთულია სურათებით, ფრესკებით, ქანდაკებებით. 1900 მაყურებელი დაიკავებს ადგილებს წითელი ხავერდით გადაკრულ სავარძლებში. ყველა ამ ადგილიდან, რომლებიც განლაგებულია უზარმაზარი ნახევარწრედ, საუცხოოდ მოსჩანს სცენა.

წითელი არმიის ახალი ცენტრალური თეატრი მოწყობილია თეატრალური ტექნიკის მაღალი მოთხოვნების შესაბამისად. მისი სცენა საუცხოოდ არის მექანიზებული.

ამ თეატრის სცენას უფრო დიდი ფართობი უჭირავს, ვიდრე მაყურებელთა დარბაზს. ის იმდენად ფართოა, რომ მასზე ერთსადაიმავე დროს შეუძლია თამაში 1000 მსახიობს. ამ თეატრის სცენაზე შეიძლება დაიდგას წარმოდგენები ტანკების, ავტომანქანების, კავალერიის მონაწილეობით. მოძრავ პორტალს ამავე დროს ადვილად შეუძლია შეამციროს სცენის ოდენობა, როდესაც ეს საჭიროა კამერული წარმოდგენების დასადგმელად.

თეატრის კოლექტივი ახალ შენობაში უზრუნველყოფილია მაქსიმალური მოწყობილობით. მსახიობთა 61 ოთახი, ცალკე ოთახები რეპეტიციებისათვის, სასპორტო დარბაზი, შხაპები და სხვ.—ყოველივე ეს საუცხოო პირობებს შექმნის მსახიობთა ნიჭიერი, მაღალკვალიფიციური შემადგენლობის შემოქმედებითი ძალთა ფართო განვითარებისათვის.

23 თებერვალს, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს, საუცხოო შენობაში დაიწყებს თავის შემოქმედებით მოღვაწეობას წითელი არმიის ცენტრალური თეატრი. ეს სასიხარულო, საზეიმო დღე ემთხვევა თეატრის არსებობის ათი წლისთავს, თეატრისა, რომელმაც თავისი ბედიღბალი დაუკავშირა გმირულ წითელ არმიას. ათი წლის განმავლობაში თეატრმა თავის ბიოგრაფიაში ჩაწერა მრავალი მკაფიო დაუვიწყარი ფურცელი, მტკიცედ დაუმეგობრდა თავის მაყურებელს. წითელარმიელები და წითელფლოტელები ხელოვნების მაღალი შემფასებლები და ამავე დროს მისი შემომქმედნიც არიან.

მჭიდროდ დაუკავშირდა რა ავტორებს პიესებისას წითელი არმიის წარსულისა და აწმყოს შესახებ, თეატრმა ერთერთმა პირველმა გვიჩვენა თავის სცენაზე ისეთი ნაწარმოებები, როგორიც არის ა. კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვა", ვს. ვიშნევსკის „პირველი ცხენოსანი" და სხვ. გარდა ამისა, მრავალი ამ პიესის შექმნაში შემოქმედებითი მონაწილეობა მიიღო მთელმა კოლექტივმა. თეატრში მიდის აგრეთვე მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები — მ. გორკის, ა. ოსტროვსკის, ვ. შექსპირის და სხვ. პიესები.

23 თებერვალს ახალ თეატრში მაყურებელი პირველად ნახავს პიესას „სარდალი სუვოროვი". ამ პიესაში მონაწილეობას მიიღებს თეატრის მსახიობთა მთელი კოლექტივი. გარდა ამისა, მასობრივ სცენებში მონაწილეობას მიაღებინებენ 100 ახალგაზრდა მსახიობს.

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე, ახალი თეატრის გახსნა, თეატრალური კოლექტივის არსებობის ათი წლისთავი—ეს არა მარტო თეატრის მშენებელთა დღესასწაული და თეატრის მუშაკთა სიხარულია, არამედ კულტურის ნამდვილი გამარჯვებაა, რომელიც მახლობელი და ძვირფასია მთელი საბჭოთა ხალხისათვის.

წითელი არმიის ახალი თეატრი კომუნის მოედანზე მოსკოვში მონუმენტური შენობაა, რომელსაც ხუთქიმიანი ვარსკვლავის ფორმა აქვს. ურყევი გმირული სულის, სამშობლოსადმი სიყვარულისა და მოქალაქეობრივი მოვალეობის მაღალი შეგნების ეს სიმბოლო ყოველთვის იქნება დროშა არა მარტო წითელი არმიისა და ფლოტის მებრძოლებისა და მეთაურებისათვის, არამედ სოციალიზმის ქვეყნის თვითეული მშრომელისათვის.

**ვ. ყარა-მურზა**

## რაიმიწგანს სოცშეჯიბრება დაავიწყდა
(ქარელი, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

კურსკის ოლქის რაკიტნოეს რაიონის კოლმეურნეთა მოწოდებას— ყველა ნათესი ფართობიდან ჰექტარზე 250 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მოყვანის შესახებ ქარელის რაიონის კოლმეურნეობებიდან პირველი გამოეხმაურა სოფ. ჭანდრების კოლმეურნეობა „წითელი სხივი".

რაკიტნოელ კოლმეურნეთა მოწოდებას კოლმეურნეები აღფრთოვანებით შეხვდნენ და მას ახალი ვალდებულებებით უპასუხეს. პირველი ბრიგადის ბრიგადირმა გ. კოპაძემ იკისრა საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანოს 270 ცენტნერი შაქრის ჭარხალი და სოცშეჯიბრებაში მეოთხე ბრიგადა (ბრიგადირი — ა. მჭედლიშვილი) გამოიწვია.

მეორე ბრიგადის ბრიგადირმა ვ. რობანიშვილმა აიღო ვალდებულება მოიყვანოს ჰექტარზე 260 ცენტნერი შაქრის ჭარხალი და შეჯიბრებაში მესამე ბრიგადა (ბრიგადირი—გ. ზაკუტაშვილი) გამოიწვია.

კოლმეურნეობას შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლის მისაღებად მოხნული აქვს 25 ჰექტარი, რომელშიც შეტანილია მინერალური სასუქი და 300 ურემი გადამწვარი ნაკელი.

კოლმეურნეობის საერთო კრებამ შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მიღების მიზნით სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ზემო-ხვედურეთის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი".

რაკიტნოეს რაიონის კოლმეურნეთა მიმართვა განიხილა აგრეთვე ზემო - ხვედურეთის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძმა". შარშან ამ კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე 170 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანა, წელს კი აღნიშნულ მოწოდებასთან დაკავშირებით აიღო ვალდებულება ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანოს 250 ცენტნერი ჭარხალი.

კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძს" ჭარხლისათვის კარგად აქვს დამუშავებული 40 ჰექტარი ფართობი. კოლმეურნეობამ სოცშეჯიბრებაში სოფ. ქარელის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობა გამოიწვია.

აღსანიშნავია, რომ მთელი ეს მუშაობა რაიმიწგანის (გამგე ამხ. ცაბაძე) მონაწილეობის გარეშე ტარდება. რაიმიწგანის მუშაკები არ ხელმძღვანელობენ სოცშეჯიბრებას შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლისათვის.

**ა. ბარბაქაძე**

**პავლე ბლიაძე**

## ჩემს ლაფშას!..

მიხმობ ბრძოლისთვის,
მეც მოვალ მალე,
მოსიყვარულე შენი მხედარი
შემომაგებებ ანთებულ თვალებს,
დაიჭიხვინებ ყალყზე შემდგარი,

გალღუნულ მთვარეს დაემგვანება
გაშლილ წარბებთან ხმლის ნატერფალი:
და გავიხსენებ, როგორც ზმანებას —
როგორ მეძებდი დაჭრილს შემკრთალი.

მიპოვნე მაშინ, სისხლიან მკერდზე
გადამაფრქვიე მთრთოლვარემ ცრემლი,
შემაგდე ზურგით ქარიშხლის ფრთებზე
და... მოგვესალმა საზღვართან კრემლი!...

მომიალერსებ შენს ძველ მეგობარს,
მხარზე დამაყრდნობ მხურვალე კისერს,
ბრძოლის დროს შევქმნით გმირობის ამბავს,
ფრონტზე კრემლიდან ორი მზე გვიცქერს!...

შენი ნავარდი უსწრებს ქარიშხალს,
ჩემი რისხვა ჰგავს ქუხილს და ავდარს:
მტერთან ბრძოლაში ჯავშნად ავისხამთ
ბელადის მზერას —
ორი მზის სადარს!...

დაიჭიხვინებ, მრისხანე თვალებს
ფრონტზე აანთებ ყალყზე შემდგარი —
მიხმობ ბრძოლისთვის, მეც მოვალ მალე,
მოსიყვარულე შენი მხედარი.

### წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXII წლისთავის წინ

## „სსრ კავშირის სამოქალაქო ომი დოკუმენტების მიხედვით"

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXII წლისთავისათვის „სამოქალაქო ომის ისტორიის" რედაქციის სამდივნომ დასაბეჭდად გადასცა სსრ კავშირის სამოქალაქო ომის შესახები დოკუმენტების კრებული, რომლის მოცულობა დაახლოებით 40 ნაბეჭდ ფურცელს უდრის. გამოქვეყნებული მასალები შეეხება პერიოდს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებიდან მოკიდებული ანტანტის პირველ ლაშქრობამდე საბჭოების ქვეყნის წინააღმდეგ (1917-1918 წ.) ეს მასალები ნათლად მოგვითხრობენ ოქტომბრის დასაცავად დარაზმული საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის შესახებ.

კრებულში მოთავსებულ მასალათა შორის არის ლენინის, სტალინის, მოლოტოვის, სვერდლოვის, კიროვის ვოროშილოვისა და ორჯონიკიძის ხელმოწერილი მთელი რიგი უაღრესად ძვირფასი ისტორიული დოკუმენტები.

კრებული „სსრ კავშირის სამოქალაქო ომი დოკუმენტების მიხედვით" 1 მაისისათვის გამოვა. იგი ძვირფასი სახელმძღვანელო იქნება იმათთვის ვინც „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსსა" და სსრ კავშირის ისტორიას სწავლობს.

(საკდესი).

## მეთაურთა ცოლები ემზადებიან დღესასწაულისათვის

№ ნაწილის მეთაურთა ცოლები დიდ მუშაობას ეწევიან, რათა ღირსეულად შეხვდნენ წითელი არმიის სახელოვან XXII წლისთავს.

ისინი ემზადებიან გასამხედროებული ლაშქრობისათვის აირწინაღებით 10 კილომეტრზე.

ქალთა ჯგუფი მეთაურის ცოლის ამხ. ზასლონოვას ხელმძღვანელობით მხატვრულად ქარგავს აბრეშუმზე. ნაქარგი ფერადებით გამოხატავს სსრ კავშირის ღერბს. ეს ნაწარმოები საჩუქრად მიეძღვნება ნაწილს.

ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინის და კ. ე. ვოროშილოვის სურათებს ქარგავენ ამხანაგები გურტოვაია, ლაგუნოვიჩი და შტოკოლოვა.

**ლ. აფრიკიანი**

## ტყიბულის მაღაროელთა დელეგაცია დონბასში

**ნიკიტოვკა,** 20 თებერვალი **(ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)** 19 თებერვალს საღამოს ტრესტ „ორჯონიკიძეუგოლის" კლუბში შესდგა ტრესტისა და 7 შახტის აქტივის თათბირი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საკ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის ქალაქკომის მდივანი ამხ. ლაპტევი.

მოხსენებებით გასული წლის შედეგების შესახებ გამოვიდნენ „ორჯონიკიძეუგოლის" მთავარი ინჟინერი ამხ. კრიაჩკო და „ტყიბულქვანახშირის" მმართველის მოადგილე ამხ. ცირეკიძე. შთაბეჭდილებებით შახტების მუშაობის შესახებ გამოვიდნენ ამხ. ნანიკაშვილი, ჩიტიძე და ჩეკანოვი. დელეგაციას მიესალმნენ და გამოცდილება გაუზიარეს შახტების გამგეებმა საველკომ, კოსტერინმა, მნგრეველებმა გრიშინმა, შონინმა და სხვებმა.

წარმოდგენილი მასალებიდან გამოირკვა, რომ „ორჯონიკიძეუგოლსა" და „ტყიბულქვანახშირის" შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გასულ წელს საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია „ტყიბულქვანახშირმა". თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა ტყიბულელების გამარჯვება.

ამავე თათბირზე ხელმოწერილ იქნა სოცშეჯიბრების ახალი ხელშეკრულება 1940 წლისათვის. „ტყიბულქვანახშირის" ვალდებულებანი შემდეგია: ქვანახშირის ამოღების გეგმა შესრულებულ იქნას 5 დეკემბრისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა შესრულდეს 110 პროცენტით, მოსამზადებელ სამუშაოთა — 105 პროცენტით, ნაცრიანობა შემცირებულ იქნას 1 პროცენტამდე.

სოცშეჯიბრების ხელშეკრულების დადების შემდეგ ტრესტის მთავარმა ინჟინერმა ამხ. კრიაჩკომ დელეგაციის პატივსაცემად გამართა ვახშამი.

20 თებერვალს დელეგაცია საქართველოში გამოემგზავრა.

დელეგაციის მიერ ქალაქ ორჯონიკიძესა და შახტებში გატარებული დღეები გადაიქცა ხალხთა სტალინური მეგობრობისა და სოცშეჯიბრების ძალის მკაფიო დემონსტრაციად, რამაც კიდევ უფრო დააახლოვა საქართველოს და მოძმე უკრაინის მაღაროელები.

**მ. აბაკელია**

## საქართველოს და უკრაინის მენახშირეთა შეჯიბრება
### გოლუბოვკის მეშახტეთა წერილი ტყვარჩელის მეშახტეებისადმი

**აკარმარა,** 21 თებერვალი (საქდესი). 1940 წლის იანვრის პირველ რიცხვებში ტყვარჩელნახშირის მეშახტეებმა გოლუბოვკის (დონბასი, სერგოს რაიონი) № 22-6 კიროვის სახელობისა და № 77 შახტების კოლექტივებს წინადადებით მიჰმართეს განაგრძონ 1940 წელს შარშან დაწყებული სოციალისტური შეჯიბრება.

ამ დღეებში ტყვარჩელის მაღაროელებმა საპასუხო წერილი მიიღეს გოლუბოვკიდან: უკრაინელი ამხანაგები იწერებიან:

„გოლუბოვკის № 22-6 კიროვის სახელობისა და № 77 შახტების მუშაკთა კოლექტივები მხურვალედ იწონებენ თქვენს წინადადებას სოციალისტური შეჯიბრების 1940 წელს განგრძობის შესახებ და თავის მხრივ წინადადებით მოგმართავენ მიიღოთ მოსკოვის საინსტრუმენტო ქარხნის მშრომელთა მოწოდება და ოთხ წელიწადში შეასრულოთ შრომის ნაყოფიერების ზრდის ხუთწლიანი გეგმა. ჩვენი კოლექტივები ყოველ ღონეს იხმარებენ, რათა საქმით გაამართლონ ნაკისრი ვალდებულებანი".

წერილში ჩამოთვლილია გოლუბოვკის მეშახტეთა 10 ვალდებულება: სტალინური კონსტიტუციის დღის — 5 დეკემბრისათვის შეასრულონ ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა; 1940 წელს გეგმის გადამეტებით კიროვის სახელობის № 22-6 შახტში ამოიღონ 25 ათასი ტონა ქვანახშირი და № 77 შახტში 15 ათასი ტონა ქვანახშირი. გეგმის შედარებით 5 პროცენტით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება; უზრუნველჰყონ № 22-6 შახტში საშუალო თვიური ციკლიურობა 22 ციკლით, ხოლო № 77 შახტში — 20 ციკლითა და სხვ.

მენახშირეთა პროფკავშირის ტყვარჩელის რაიკომმა გოლუბოვკაში გაგზავნა დეპეშა, რომლითაც სთხოვს გამოჰყონ და აკარმარაში გამოგზავნონ № 22-6 და № 77 შახტების მაღაროელთა დელეგაცია გამოცდილების გასაზიარებლად, 1939 წლის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების ვალდებულებათა შესრულების შესამოწმებლად და 1940 წლის ხელშეკრულების გასაფორმებლად.

### თეთრფინელებთან ბრძოლის გმირები

# პეტრე ლოსევი

პეტრე ლოსევი თეთრფინელებთან ბრძოლის პირველ დღეებში გაიწვიეს წითელ არმიაში და იგი საარტილერიო ბატარეის მეკავშირე გახდა. დღე და ღამ, გაუვალ ტყეებსა და ჭაობებში, თოვლსა და სასტიკ სუსხში გაჰყავდა ლოსევს ხაზი და უზრუნველჰყოფდა შეუფერხებელ კავშირს. ბატარეის მეთაურს და მეომრებს უყვარდათ და პატივს სცემდნენ მოკრძალებულ მეკავშირეს, მაგრამ მისდამი სიყვარული და პატივისცემა განსაკუთრებით გაიზარდა მისთვის დაუვიწყარ დღეს — 23 დეკემბერს.

დილაადრიან გაემგზავრა პეტრე ლოსევი მეთაურის ბრძანებით ახალი ხაზის გასაყვანად. ტყიდან პატარა მინდორზე გავიდა. გადაღმა ჩასაფრებულმა თეთრფინელებმა ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხეს. ლოსევმა აიღო მავთული და ხოხვით გასწია თავისიანებისაკენ.

დაღვრემილი მიდიოდა იგი მეთაურთან მოსახსენებლად: ხაზის გაყვანა შეუძლებელია, მოგკლავენ, მაგრამ რომ არ გაიყვანო—რას იფიქრებს მეთაური? შეშინდა, პეტრე ლოსევი, თეთრებს შეუშინდაო.

როცა მეთაურს მოახსენა ეს ამბავი, ლოსევი მას თვალებში შეჰყურებდა, მაგრამ ვერ გაიგო, რა იფიქრა იმაზე მეთაურმა. მეთაურმა მოუსმინა და მრავალმნიშვნელოვნად უთხრა:

— ასე, ასე...

და დასძინა:

— აბა, წადით ახლა, ისადილეთ, გათბით.

ლოსევი სალაშქრო სამზარეულოში წავიდა.

— დავიწყე ჭამა, მაგრამ ვეღარა ვჭამე. მოსვენებას არ მაძლევდა ფიქრი, თუ რა აზრისაა ჩემზე მეთაური — ღიმილით იგონებს იგი.

ამ დროს წითელარმიელმა მოირბინა და მეთაურს მოახსენა, მეზობელ ბატარეას თავს დაესხა თეთრფინელთა ბანდაო.

— იარაღი აისხით! — ბრძანა მეთაურმა. ყველანი იმ წამსვე წამოხტნენ. პეტრე ლოსევმა ბუჩქებში შეინახა თავისი ქვაბი, რომელშიც წვენი ესხა, ხელი დაავლო შაშხანას და მეომრებთან ერთად გაიქცა. ბუჩქნარით მიდიოდნენ მეომრები ღრმა თოვლში ამხანაგების დასახმარებლად. სულ უფროდაუფრო ახლოს ისმოდა სროლა.

თეთრფინელები გაავთრებით ისროდნენ. მიაღწიეს პატარა ტყეს. მეთაურმა მეომრები შეაჩერა და უთხრა:

— საჭიროა დაზვერვა: შევძლებთ თუ არა აქ გასვლას?

დასაზვერად წავიდნენ მეომრები გელმალაევი, გრეხოვი, შატილანოვი და პეტრე ლოსევი. გაიარეს ასორმოცდაათი ნაბიჯი და ლობეს წააწყდნენ.

— ამოვგლიჯე მარგილი, — გვიამბობს ლოსევი, და ვხედავთ, რომ მარჯვნივ და მარცხნივ, 100-120 ნაბიჯზე, მტრის ორი ტყვიამფრქვევია. ხოხვით გავწიეთ წინ...

აქ ლოსევმა სულ ახლოს დაინახა ფინელი ოფიცერი, რომელიც ტყვიამფრქვევს ისროდა, და კიდევ მეორე, რომელიც ტყვიამფრქვევის ლენტს ასწორებდა. ლოსევმა მარჯვე გასროლით ჯერ ერთი მეტყვიამფრქვევე წააქცია, ხოლო შემდეგ— მეორე. ერთი ტყვიამფრქვევი დადუმდა, მაგრამ მეორე კიდევ უფრო გამალებით ამუშავდა. ლოსევმა კიდევ ორჯერ გაისროლა და ეს ტყვიამფრქვევიც დადუმდა.

— ყოჩაღ ლოსევ! შენ ნამდვილი სნაიპერი ყოფილხარ და არა მეკავშირე, — გაკვირვებით სთქვა მის გვერდით მწოლარე გელმალაევმა.

— ტყვიამფრქვევები უნდა ჩამოვართვათ, — სთქვა ლოსევმა და წინ გახოხდა.

ამ დროს სერზე თეთრფინელები გამოჩნდნენ. მებრძოლთა მცირე ჯგუფი რომ დაინახეს, გადასწყვიტეს დაებრუნებინათ თავიანთი ტყვიამფრქვევები. მებრძოლნი წაწვნენ და სროლითვე უპასუხეს. ესროდნენ შაშხანებს. პეტრე ლოსევი მტრის ტყვიამფრქვევს მიუახლოვდა.

— ვაი რომ ტყვიამფრქვევის სროლა არ ვიცი, — ნაღვლიანად ფიქრობდა ლოსევი, — მეტყვიამფრქვევე რომ ვიყო, ახლა ამ ნადავლს ავამუშავებდი.

ტყვიები სულ უფროდაუფრო ახლოს სწვდებოდნენ. ლოსევმა ერთხელ კიდევ გადაჰხედა ტყვიამფრქვევს და გაიფიქრა: „რა იქნება, რომ ვსინჯო?" და ხელი მოჰკიდა ტყვიამფრქვევის ტარს. ხელი დააჭირა მსხლეტს—ტყვიამფრქვევი აკაკანდა.

— ამუშავდა! — მხიარულად წამოიძახა მან და დამფრთხალ ფინელებს სეტყვასავით დააყარა ტყვია. ყოველი გასროლა მეტ გამბედაობას ანიჭებდა პეტრეს. მას უკვე დაავიწყდა, რომ პირველად ისროდა ტყვიამფრქვევს. მარჯვედ ურტყამდა მტერს. მას ერთსულოვნად ეხმარებოდნენ თოფის სროლით ამხანაგები. ვერცერთი თეთრფინელი ვერ წავიდა ბრძოლის ველიდან.

გათავდა ბრძოლა. თეთრფინელთა ბანდა, რომელმაც ბატარეაზე თავდასხმა გაბედა, განადგურებული იყო. გაცხოველებით ლაპარაკობდნენ ბრძოლის შედეგებზე მეომრები, რომელნიც თავიანთ ადგილებზე ბრუნდებოდნენ. არა სჩანან მხოლოდ პეტრე ლოსევი და მისი ამხანაგები.

— ცოცხლები არიან? — იკითხა კომისარმა.

მეთაურმა ბრძანება გასცა დაეწყოთ ძებნა.

ამ დროს გზის მოსახვევში გამოჩნდა 4 კაცი. ისინი წელში მოხრილები მოდიოდნენ, რაღაც ტვირთი მოჰქონდათ. წინ პეტრე ლოსევი მიდიოდა და თასმაზე მიბმულ ფინურ ტყვიამფრქვევს მოათრევდა. მეორე ტყვიამფრქვევსა და 16 კოლოფ ტყვიამფრქვევის ლენტს მოათრევდნენ მისი ამხანაგები. როცა მებრძოლებმა უამბეს იმის შესახებ, თუ როგორ იყოჩაღა მეკავშირემ ბრძოლაში, მეთაურმა მაგრად ჩამოართვა მას ხელი და უთხრა:

— მამაცი კაცი ხართ, ლოსევ, ნამდვილი მებრძოლი ხართ!

ხალტურინის სახელობის ხის დამამუშავებელი ქარხნის ყოფილი მუშა, მეკავშირე წითელარმიელი პეტრე ლოსევი თეთრფინელებთან ბრძოლაში გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულია საბრძოლო წითელი დროშის ორდენით.

**ი. ანცელოვიჩი**

ლენინგრადის სამხედრო ოლქი, 14 თებერვალი (საკდესის სპეცკორი).

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები

# ჩავატაროთ ხელმძღვანელი პარტორგანოების ანგარიშგება და არჩევნები მაღალ იდეურ დონეზე

## თბილისის რკინიგზის კვანძის მეორე პარტიული კონფერენცია

[illegible]

## სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პირველი პარტიული კონფერენცია

[illegible]

ქიჭინაძე, მ. კუჭავა, ი. სელიხოვი, ი. ნეფარიძე, ი. დევსურაშვილი, შ. კოშაძე, ნ. ნატრაძე და გ. ყაზაზიშვილი.

კონფერენციამ სამანდატო კომისიაში აირჩია ამხ. მინასაშვილი, შინჯიკაშვილი, ქიგლოვი, სამსონია და კონიაშვილი.

ირჩევა საპატიო პრეზიდიუმი. წინადადებისათვის სიტყვა ეძლევა ამხ. პეტროვს.

— **სტალინი...**

მთელი დარბაზი ფეხზე დგება, ხანგრძლივი, მქუხარე ოვაცია დიდხანს არ ცხრება, გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**", „გაუმარჯოს თანამედროვეობის ყველაზე დიდ ადამიანს, სოციალიზმის გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, საყვარელ ბელადს დიდ **სტალინს.**"

საპატიო პრეზიდიუმში ტაშის გრიალში ირჩევენ აგრეთვე ამხანაგებს **მოლოტოვს, ვოროშილოვს, კალინინს, კაგანოვიჩს, ჟდანოვს, ანდრეევს, მიქოიანს, ხრუშჩოვს, ბერიას, შვერნიკს, ჩარკვიანს.**

საქმიანი და საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ კონფერენციამ დაამტკიცა დღისწესრიგი: ქარხნის პარტიული კომიტეტის ანგარიში, არჩევნები—პარტიული კომიტეტისა და დელეგატებისა ლენინის სახელობის რაიონის XXII პარტიულ კონფერენციაზე დასასწრებლად.

საანგარიშო მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანს ამხ. მ. კუჭავას.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ გრანდიოზული წარმატებების შესახებ, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე—ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. შემდეგ ამხ. კუჭავა ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ ეუფლებიან ქარხნის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები მარქსისტულ - ლენინურ თეორიას, როგორ ახორციელებდა პარტორგანიზაცია წარმოების ადმინისტრაციის საქმიანობაზე კონტროლის უფლებას. მომხსენებელმა კონფერენციის ყურადღება გაამახვილა აგრეთვე ქარხანაში თავდაცვითი მუშაობის გაუმჯობესების, პარტიაში მოწინავე ადამიანების მიღების, ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის, დადგენილებათა შესრულების შემოწმების, კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობისა და სხვ. საკითხებზე. იგი გზადაგზა აღნიშნავდა იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს ქარხნის [illegible] ხსენება ამხ. მ. კუჭავამ.

მოხსენების შემდეგ პირველი სიტყვა ეძლევა ამწყობი საამქროს ოსტატს ამხ. დევსურაშვილს. იგი ლაპარაკობს სამეურნეო საქმიანობასთან პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შეთავსებაზე, იმაზე, რომ პოლიტიკა და მეურნეობა განუყოფელი არიან. შემდეგ მან კონფერენციას მოუთხრო ამწყობი საამქროს პარტბიუროს მუშაობაზე, რომ სათანადო ყურადღება ექცეოდა სამეურნეო საკითხებს, მაგრამ საამქროში ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული პროპაგანდისტული და საატიტაციო მუშაობა.

ნაკლებ თვითკრიტიკული იყო ქარხნის პარტკაბინეტის გამგის ამხ. ფარცხალაძის გამოსვლა. მან თავისი სიტყვის დიდი ნაწილი ზოგად და ზერელე ლაპარაკს მოანდომა. ილაპარაკა იმაზე, რომ ამწყობი საამქროს პარტბიურომ და კომკავშირის კომიტეტმა ვერ უზრუნველჰყვეს ლექციებსა და კონსულტაციებზე ამხანაგების დასწრება. მაგრამ მას არაფერი არ უთქვამს თვით პარტკაბინეტის სუსტ მუშაობაზე. იმაზე, რომ ის ნაკლებად ეხმარება ამხანაგებს, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს".

— ქარხნის კომკავშირული ორგანიზაცია აქტიურ მონაწილეობას იღებს სამეურნეო საქმიანობაში. უნდა ითქვას, რომ ამით ჩვენ გარკვეული წარმატებები მოვიპოვეთ. ცალკე საამქროებში ნაკლებად ეხმარებიან კომკავშირელ სტახანოველებს. არ შეიძლება არ აღენიშნოთ ისიც, რომ ცალკე საამქროთა პარტიული ორგანიზაციის ბიუროები და ზოგჯერ პარტიული კომიტეტებიც კი აჭიანურებენ პარტიის რიგებში მიღების შესახებ კომკავშირელთა განცხადებების განხილვას. ამას მომავალში ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს, —სთქვა კომკავშირული კომიტეტის მდივანმა ამხ. კოშაძემ.

საქმიანად გამოვიდა სქვაბე საამქროს კომუნისტი სტახანოველი ამხ. მელქიშვილი. მან აღნიშნა: ჩვენი საამქროს პარტორგანიზაცია იშვიათად იხილავდა სამეურნეო საკითხებს. მართალია, საამქრო ასრულებდა ქვაბების შეკეთების გეგმას, მაგრამ ადგილი ჰქონდა წუნდებული პროდუქციის გამოშვებასაც. ეს საკითხი არ გამხდარა პარტბიუროს მსჯელობის საგნად. სქვაბე საამქროში ისევე, როგორც მთელ ქარხანაში ადგილი აქვს „იერიშებს". გასული წლის დეკემბერში წარმატებით ვიმუშავეთ, მიმდინარე წლის [illegible] ლიტერატურა პარტკაბინეტში არ მოიპოვება, მაგრამ ეს არ გვამართლებს, ჩვენ უნდა ვკითხულობდეთ მხატვრულ სიტყვის კლასიკოსებსაც, — დაასრულა ორატორმა.

— ჩვენს ქარხანაში მართალია ზოგი რამ გაკეთდა თავდაცვითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში, მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება ერთი წუთითაც არ შეიძლება. საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ცალკე საამქროებში ამ მხრივ სუსტად მუშაობენ. უპასუხისმგებლობა იქამდე მიდის, რომ თვით კომუნისტები არ ესწრებიან სამხედრო წრეების მეცადინეობას. ამ მდგომარეობას ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა ყურადღება უნდა მიაქციოს. ყოველი კომუნისტი უნდა ეუფლებოდეს სამხედრო საქმეს,—სთქვა კომუნისტმა ამხ. ხომასურიძემ.

პარტიის წევრობის კანდიდატებთან სუსტ მუშაობაზე, კომკავშირისა და პროფკავშირის ორგანიზაციებისადმი არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობაზე, კადრების შერჩევასა და მათს სწორად განაწილებაზე და სხვა საკითხებზე ილაპარაკეს აგრეთვე ამხ. ყაზაზიშვილმა, ბიბილაშვილმა, ერანოსოვმა, ვართანოვმა, ეგიკაშვილმა, სოხაძემ და ბესტავაშვილმა.

კამათის დამთავრების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. მ. კუჭავას საბოლოო სიტყვა. ამავე სხდომაზე მოისმინეს და დაამტკიცეს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ამხ. მინასაშვილის მოხსენება, რის შემდეგ მოხდა პარტიული კომიტეტის წევრებისა და რაიონულ პარტკონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატების კანდიდატურათა დასახელება.

O

გუშინ ჩატარდა კონფერენციის მეორე სხდომა. რომელზეც დახურული (ფარული) კენჭისყრით პარტიული კომიტეტის ახალ შემადგენლობაში არჩეულ იქნა 11 კაცი.

ამავე სხდომაზე კონფერენციამ აირჩია 53 დელეგატი (47 გადამწყვეტი და 6 სათათბირო ხმის უფლებით) ლენინის სახელობის რაიონის XXII პარტიულ კონფერენციაზე დასასწრებლად.

დელეგატებს შორის არიან: ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი **სტალინი**, საბჭოთა დაზვერვის სახელოვანი ხელმძღვანელი ამხანაგი **ლ. პ. ბერია**, აგრეთვე ამხანაგები **კ. ნ. ჩარკვიანი, ვ. მ. ბაქრაძე, მ. დ. ჩუბინიძე, მ. ი. კუჭავა, დ. ა. ქიჭინაძე** და სხვ.

**მ. თევზაძე.**

**პ. ჭიოკაძე.**

## ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით

(თბილისის მე-6 სამკერვალო ფაბრიკა)

[illegible]

არსებითად, მე-6 სამკერვალო ფაბრიკის პარტორგანიზაცია საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მოვიდა ჯანსაღი, არც თუ მცირეოდენი მიღწევებით. საანგარიშო პერიოდში ორგანიზაცია 34 კომუნისტიდან 65-მდე გაიზარდა. ზრდა უმთავრესად მოხდა ფაბრიკის წარჩინებულ, სტახანოველ ადამიანთა ხარჯზე. გაძლიერდა კომუნისტების აქტიური მონაწილეობა პარტიულ - პოლიტიკურ მუშაობაში და ფაბრიკის სამეურნეო საქმიანობაში. XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ფაბრიკის სამეურნეო საქმიანობაზე პარტორგანიზაციის კონტროლის დაწესებამ დიდად გააუმჯობესა საწარმოს მუშაობა. თუ წინათ გეგმების შესრულებაში ადგილი ჰქონდა ჩამორჩენას, პარტიული კონტროლის შემდეგ, ფაბრიკის დირექციისა და პარტორგანიზაციის შეთანხმებული მუშაობის შედეგად, ახლა ყოველთვიური გეგმები გადაჭარბებით სრულდება.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, პარტორგანიზაციის მუშაობაში ადგილი აქვს საგრძნობ ნაკლოვანებებს.

— ჩვენს ორგანიზაციაში, — განაცხადა ამხ. უნანოვმა, — დღეისათვის გვყავს 11 კანდიდატი, რომელთაც კარგა ხანია გაუვიდათ საკანდიდატო სტაჟი. ზოგიერთი მათგანი პასივობისათვის არ შეიძლება გადავიყვანოთ წევრად. გულახდილად რომ ვთქვათ, პარტბიურომ ცოტა იმუშავა ამ ამხანაგებს შორის მათი გააქტივებისათვის. მათ მიერ საწესდებო მოთხოვნილების შესრულებასაც არ ვამოწმებდით.

სერიოზულად ჩამორჩება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლა. აღრიცხვით პარტიის 37 წევრი და კანდიდატი არის ჩაბმული წრეებში, ხოლო 19 ინდივიდუალურად მეცადინეობს. დანარჩენი 19 კომუნისტი „ბედის ანაბარად" არის მიტოვებული. მაგრამ ისინიც კი, ვინც აღრიცხვით შემსწავლელთა წრეებში ირიცხებიან, ფაქტიურად ნაკლებად მუშაობენ თავიანთი იდეურ-თეორიული დონის ასამაღლებლად. ამხანაგებთან ინდივიდუალური საუბრით გამოირკვა, რომ სისტემატურად მეცადინეობენ მხოლოდ ზახარჩენკო, პარტუკიმოვა და ნერ- [illegible] ელისაბედ ნერსესოვას, მას დღემდე ხელშიც არ აუღია წიგნი. პარტბიურომ თუმცა განიხილავს ეს საკითხი მაგრამ შედეგი ჯერაც არა სჩანს, მდგომარეობა ისევ ძველებურად გრძელდება.

ზოგიერთი კომუნისტი ძალზე გადატვირთულია პარტიული დავალებებით, როდესაც ზოგიერთს სრულებით არა აქვს პარტიული დავალება. კომუნისტ დოლიძეს 8 დავალება აქვს, მაგრამ, როგორც მან კამათში გამოსვლისას განაცხადა, ვერცერთ დავალებას ვერ ასრულებს წესიერად. ამაზე გავლენას ისიც ახდენს, რომ ამხ. დოლიძეს ყოველდღიურად სამსახურში სიარული კასპიდან უხდება.

სუსტია პარტბიუროს დახმარება და ხელმძღვანელობა მასობრივ-თავდაცვითი (თავდაცვა-ავიაქიმი, წითელი ჯვარი) და ნებაყოფლობითი ორგანიზაციებისადმი. ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები წევრებს კი არ იღებენ, როგორც წესია, არამედ სწერენ, კი არ გარიცხავენ ხოლმე, როდესაც საჭიროა, არამედ პირდაპირ შლიან სიიდან.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 14 კომუნისტმა. ამხ. ს. ვართანოვმა ილაპარაკა პარტორგანიზაციის სუსტ დახმარებაზე კედლის გაზეთის რედკოლეგიისადმი, აგიტატორების სუსტ მუშაობაზე და საერთოდ ფაბრიკაში კულტურული მუშაობის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე.

ზოგიერთმა მოკამათემ (ბადრიძე, ნათიძე, ორკუსიანი, დოლიძე, პარტუკიმოვა და სხვ.) მიუთითა პარტბიუროს და პირადად მის მდივანს ამხ. უნანოვს ლიბერალურ დამოკიდებულებაზე ადმინისტრაციასთან.

საანგარიშო კრება ჯანსაღი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდა. კრებამ პარტბიუროს განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი შემდგომი მუშაობისათვის.

კრებამ, ფარული კენჭისყრით, პარტბიუროს ახალ შემადგენლობაში აირჩია 7 კაცი. არჩეულ იქნა აგრეთვე 5 დელეგატი კიროვის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე დასასწრებლად.

**არ. კოკილაშვილი**

## კრებები კომუნისტების აქტივობით ტარდება

(„კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის რაიონის პირველად პარტორგანიზაციებში კომუნისტთა უდიდესი აქტივობით ტარდება საანგარიშო-საარჩევნო კრებები. 19 თებერვლამდე საანგარიშო-საარჩევნო კრებები ჩატარდა სოფ. გოდოგნის კოლმეურნეობა „ახალ ნაბიჯის", საყულიის კოლმეურნეობა „კომუნარის", გეგუთის მილიონერ კოლმეურნეობა „წინსვლის", სოფ. ოფშკვითის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის და სხვა პირველადს პარტორგანიზაციებში.

გოდოგნის კოლმეურნეობა „ახალი ნაბიჯის" პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მოხსენებით გამოვიდა პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ანტ. ფირცხალაიშვილი. მან ილაპარაკა პარტმასობრივ მუშაობაზე, კომუნისტების ავანგარდულ როლზე, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისა და სხვა საკითხებზე. მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 6 კაცმა.

ამხ. ქ. სულუხიამ, ილაპარაკა რა პარტიის რიგებში საკოლმეურნეო მინდვრების მოწინავე ადამიანების მიღებაზე, აღნიშნა, რომ მიღებულთა შორის ქალთა რიცხვი მცირეა.

ამხ. კანდელაკმა ილაპარაკა კომუნისტების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებაზე და აღნიშნა, რომ ორგანიზაცია დღემდე ვერ უწევდა საჭირო დახმარებას წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს. არ ტარდებოდა ლექციები და კონსულტაციები. ზოგი ამხანაგი ნაკლებად იყო დაინტერესებული თავისი თეორიული დონის ამაღლებით.

აკ. გაბრიჭიძემ გააკრიტიკა პარტიული ორგანიზაციის მუშაობა და სთქვა: დღემდე კოლმეურნეობაში სუსტად არის დაყენებული თავდაცვითი მუშაობა.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომის მდივანი ამხ. კ. ამირანაშვილი.

კრებამ პარტორგანიზაციის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო. პარტორგანიზაციის მდივნად არჩეულ იქნა ამხ. აკ. გაბრიჭიძე.

**ეგ. გვასალია**

## საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის პლენუმი

16 თებერვალს ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის პლენუმი. პლენუმმა მოისმინა პარტრაიკომის მდივნის ამხ. ძიძიგურის მოხსენება რაიკომის ბიუროს განვლილი მუშაობის შესახებ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ნ. რაზმაძემ, ვ. მელაძემ, ი. კაკულიამ, ა. წიქარიშვილმა, ვ. სალაძემ და სხვ.

რაიკომის ბიუროს განვლილი პრაქტიკული მუშაობა პლენუმმა ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად და პოლიტიკური ხაზი სწორად. საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანი ამხ. ძიძიგური პლენუმმა გაათავისუფლა მდივნობიდან მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო. რაიკომის მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ვ. წვერავა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. ი. თავაძე.

**ვ. ბიჩბიაშვილი**



„ტექნიკა და შრომის" სტამბის პარტბიუროს ახალი შემადგენლობა (მარცხნიდან): პ. ბაბალაშვილი, ა. ზარაფოვი, ნ. მიკირტუმოვი, კ. დალაქიშვილი, ვ. ბადალოვი.

ფოტო რ. აკოფოვისა

## ავამაღლოთ კომუნისტთა თეორიული მომზადების დონე

— ბოლშევიზმის ისტორიის შესანიშნავი სახელმძღვანელოს გამოსვლასთან დაკავშირებით ჩვენ გამოვთქვით მისი შესწავლისათვის დამოუკიდებლად მუშაობის სურვილი. კომუნისტებს სურთ საფუძვლიანად დაეუფლონ ლენინ-სტალინის სახელოვანი პარტიის ისტორიას. მაგრამ მე მინდა ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ ცალკეული კომუნისტები სათანადოდ არ მუშაობენ თავიანთი თეორიული მომზადების დონის ამაღლებისათვის. აქ, საანგარიშო კრებაზე, ბოლშევიზმის დაუფლების საქმეში მოწინავეებად გამოაცხადეს კომუნისტები, რომლებიც, მათივე განცხადებით, დღემდე „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" მესამე თავს არ გასცილებიან. პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი და მისი მოადგილეები სათანადოდ ვერ ვეხმარებოდით ინდივიდუალურად მომუშავე ამხანაგებს. მომავალში მეტი მონდომებით უნდა მოვკიდოთ ხელი კომუნისტთა თეორიული დონის ამაღლებას, — განაცხადა საქართველოს ლითონმრეწველობის კავშირის (მოლოტოვის რაიონი) პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე პარტორგანიზაციის მდივნის ამხ. ს. ჯაფარიძის საანგარიშო მოხსენების გამო კამათში გამოსულმა ამხ. გ. იობაშვილმა.

კრებაზე სიტყვით გამოსული ამხ. ს. გობეჯიშვილი აღნიშნავდა, რომ ლითონმრეწვკავშირის პირველადი პარტორგანიზაცია საანგარიშო პერიოდში მონდომებით მუშაობდა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მუშაობდა თავდაცვის საკითხებზე, ახორციელებდა საწარმოთა ადმინისტრაციის საქმიანობაზე კონტროლის უფლებას, მონიჭებულს ახალი წესდებით, და სხვ.

მაგრამ მიღწევებთან ერთად ჩვენს მუშაობაში ცოტა ნაკლი როდი გვქონდა. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, — აღნიშნა ამხ. გობეჯიშვილმა, — რომ ჩვენ დაგვავიწყდა ჩვენი სისტემის არტელების მუშა-მოსამსახურეთა შორის საატიტაციო-მასობრივი მუშაობის ხელმძღვანელობა და ამის გამო ეს მუშაობა არტელებში ჩაშლილია.

განვლილი მუშაობის მკვეთრი კრიტიკით გამოვიდნენ კრებაზე ამხანაგები: მ. გოგინაშვილი, შ. რამიშვილი, ლ. ყანდარიანი და სხვ.

საანგარიშო - საარჩევნო კრებამ პარტორგანიზაციის მდივნის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

პირველადს პარტორგანიზაციის მდივნად აირჩიეს ამხ. ს. ჯაფარიძე, ხოლო მოადგილეებად — ამხ. ს. გობეჯიშვილი და გ. იობაშვილი.

**ს. გოგიტაძე**

## დიმიტრი ბაქრაძე

(გარდაცვალებიდან 50 წლისთავის გამო)

ორმოცდაათი წელი შესრულდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსის და არქეოლოგის დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალებიდან. დიმიტრი ბაქრაძემ თავის საკვლევაძიებო მუშაობით დიდი როლი ითამაშა



O

ქართული ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეში.

დ. ბაქრაძის ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვაწეობა ფრიად ნაყოფიერი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მისი ცხოვრების საუკეთესო დღენი უმადურ სახელმწიფო სამსახურს ეწირებოდა. იგი მაინც პოულობდა დროს სამეცნიერო მუშაობისათვის და ჟურნალ-გაზეთებისა და სამეცნიერო გამოცემების მუდმივი თანამშრომელი იყო. მოგზაურობდა არქეოლოგიურ კვლევაძიების საწარმოებლად, ცალკე წიგნებად აქვეყნებდა საფუძვლიან შრომებს საქართველოს ისტორიის, ქართული ეპიგრაფიკისა და პალეოგრაფიის დარგში.

დ. ბაქრაძე დაიბადა 1827 წელს, სოფ. ხიდში (საგარეჯოს რაიონში). დიმიტრის მამა სოფლის მღვდელი იყო, წვრილშვილიანი. როგორც სხვა ვაჟებს, დიმიტრისაც მამა მღვდლად ამზადებდა. პირველდაწყებითი განათლება დიმიტრის მონასტერში მიუღია. შემდეგ დაუმთავრებია თბილისის სასულიერო სასწავლებელი. საიდანაც სასულიერო სემინარიაში გადასულა. სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ დ. ბაქრაძე სწავლობდა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1850 წელს და აქვე მიიღო კანდიდატის ხარისხი 1851 წელს.

როგორც აკადემიელს, დ. ბაქრაძეს შეეძლო მოეპოვებინა საეკლესიო სამსახური, მაგრამ ის სრულიად არ ფიქრობს იმ სამსახურზე, რისთვისაც თავიდანვე ამზადებდნენ მას. აკადემიის დამთავრების შემდეგ დ. ბაქრაძეს უმსახურნია განათლების უწყებაში. 1858 წელს ის დაინიშნა განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელედ ქუთაისის გუბერნატორთან, ხოლო 1862 წლიდან იწყებს მუშაობას კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში სასაზღვრო კომისიის თავმჯდომარედ. 1864 წელს საგლეხო რეფორმებთან დაკავშირებით დ. ბაქრაძე მუშაობდა სარეფორმო კომიტეტში. 1873 წელს ინიშნება აღმოსავლურ ენათა ცენზორის თანაშემწედ. 1875 წელს მას დავალებული ჰქონდა აეწერა და სისტემაში მოეყვანა კავკასიის მეფისნაცვლის სტამბის ქონება. ამავე წელს დანიშნულ იქნა ქართული ენის ცენზორად. 1883 წელს დ. ბაქრაძე ინიშნება კავკასიის მხარის სამიწათმოქმედო კომისიის წევრად. 1888 წელს დ. ბაქრაძე მთავარმმართებლის ბრძანებით მივლინებულ იქნა სტამბოლში, იქ დაცულ ქართულ სიგელ-გუჯრების გადასასინჯად ბათუმისა და ართვინის მხარის მიწათმფლობელობის საკითხისათვის.

დ. ბაქრაძეს მეფის მთავრობა მცოდნე მოხელედ სთვლიდა და ამის გამო იყო, რომ მას უბოძა „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის" წოდება; ხოლო თვით დიმიტრისათვის სახელმწიფო სამსახური საარსებო საშუალება იყო და არა მიზანი და მოწოდება. დ. ბაქრაძის შრომებმა ფართო სამეცნიერო წრეების ყურადღება მიიქცია რუსეთში. დ. ბაქრაძე მონაწილეობდა არქეოლოგთა V ყრილობაზე 1881 წლის სექტემბერში, თბილისში. ამ ყრილობის შრომების დიდტანიან წიგნში დაბეჭდილია მისი შესანიშნავი მოხსენებები ქართული დამწერლობის, ქართული ოთხთავისა და იერუსალიმის ჯვარის მონასტრის შესახებ.

გამოჩენილი რუსი არქეოლოგები დიდ ანგარიშს უწევდნენ დ. ბაქრაძეს, ის მიჩნეული ჰყავდათ არქეოლოგიური საზოგადოების თვალსაჩინო წევრად. როგორც არქეოლოგიური ყრილობის შრომების წინასიტყვაობიდან სჩანს, დ. ბაქრაძეს დიდად შეუწყვია ხელი კავკასიის არქეოლოგიის შესწავლის საქმისათვის.

საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის დაუცხრომელი მკვლევარი აკადემიკოსი ბროსე აკადემიის სხდომებზე მაღალ შეფასებას აძლევდა დ. ბაქრაძის შრომებს. რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ დ. ბაქრაძე აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩია.

თუმცა დ. ბაქრაძე თავის გამოკვლევებს უმთავრესად რუსულად სწერდა, მაგრამ ქართულ ენაზედაც მან არაერთი მნიშვნელოვანი წიგნი გამოსცა და არაერთი წერილი მოათავსა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. მისი რედაქციითა და უამრავი შენიშვნებით გამოცემული ვახუშტის შრომა — „საქართველოს ისტორია" (1885) დღესაც არ ჰკარგავს თავის მეცნიერულ მნიშვნელობას.

ბერძნულ-ლათინურისა და ევროპული ენების ცოდნა მას უადვილებდა როგორც წყაროების გამოყენებას, ისე სამეცნიერო ლიტერატურით სარგებლობას. 1889 წელს დაიბეჭდა დ. ბაქრაძის „ისტორია საქართველოსი". წიგნი მაშინდელ საისტორიო მეცნიერების დონეზე დგას და წარმოადგენს საქართველოს სისტემატური ისტორიის შექმნის ცდას.

დ. ბაქრაძის შრომის მნიშვნელობა დიდი იყო. მარტო ის რად ღირდა, რომ დ. ბაქრაძემ აქ წამოაყენა წყაროთმცოდნეობითი პრობლემები ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

დ. ბაქრაძის ისეთი შრომები, როგორიცაა — „საქართველო" (1871), „მითრიდატ დიდი" (1880), „საქართველოს მეფე ვახტანგ VI", „ახალი გამოკვლევა ისტორიის წინადროებზე" (1881 წ.) ერთგვარ მოსამზადებელ საფეხურად უნდა ჩაითვალოს სხვა უფრო დიდი შრომებისათვის.

XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში დ. ბაქრაძე პირველი იყო, რომელმაც საფუძვლიანად გაარჩია ახლად აღმოჩენილი ქართული სიგელ-გუჯრები და შეუფარდა ისინი ისტორიულ სინამდვილეს.

„ქართლის ცხოვრების", საქართველოს ისტორიის ამ უმთავრეს წყაროს დასაბუთებაც დ. ბაქრაძეს ხვდა წილად თვითმპყრობელობის მკაცრი შავრაზმული რეჟიმის პირობებში.

ცნობილია თუ რა ჴეპრულად და დაუსაბუთებლად ილაშქრებდა პროფ. პატკანოვი „ქართლის ცხოვრების" წინააღმდეგ. მან 1883 წლის დეკემბერში რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალში მოათავსა წერილი, სადაც ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ XVIII საუკუნის უწინარეს „ქართლის ცხოვრება" არ არსებობდა და ესეც ვითომცდა მომდინარეობდა XII საუკუნეში ვიღაც სომხისაგან შედგენილი სომხური ქრონიკიდან.

„ქართლის ცხოვრების" მარტო მარიამ დედოფლის ვარიანტის დასახელებაც კმაროდა მთელი ამ უბადრუკობის გასაქარწყლებლად. დ. ბაქრაძემ პატკანოვის წერილის საპასუხოდ გაზეთ „ივერიაში" გამოაქვეყნა წერილი — „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები", რითაც მზის სინათლეზე გამოიტანა პროფ. პატკანოვის ნამდვილი ზრახვები და მისი „მეცნიერული მსჯელობის" მთელი უსუსურობა.

აქედანაც ცხადია, რომ დ. ბაქრაძის შრომებს მარტო სამეცნიერო მნიშვნელობა არ ჰქონია. XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ტიტანმა ილია ჭავჭავაძემ დასაყრდენად გაიხადა დ. ბაქრაძის შრომები იმ დიდი ბრძოლისათვის, რომელსაც ნაციონალური კულტურის დაცვისა და ნაციონალური თავისუფლების ნიშნით ის მეთაურობდა.

დ. ბაქრაძე გარდაიცვალა ფილტვების ანთებით 1890 წლის 10 თებერვალს (ძვ. სტილით).

დ. ბაქრაძის დაკრძალვის დღეს, 13 თებერვალს „ივერია" სწერდა: „...არ დავივიწყებთ იმიტომ, რომ მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა და ეგ წარსული შენ მოგვეცი" („ივერია", 1890, № 32).

დ. ბაქრაძის მეცნიერული შემოქმედების მნიშვნელობა, მისი ძალა მეფის მთავრობამ მაშინვე შეიცნო, როგორც კი ეს ძალა მიიმართა ნაციონალური მჩაგვრელების წინააღმდეგ. მთავრობა შეეცადა მაშინვე დავიწყებისათვის მიეცა თავისი შეგნებული და მცოდნე მოხელე, საიმპერატორო აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, სახელმოხვეჭილი მეცნიერი.

ოფიციოზ „კავკაზს", რომლის თანამშრომელი იყო დ. ბაქრაძე, ხმაც არ ამოუღია დ. ბაქრაძის გარდაცვალების გამო, მაგრამ „კავკაზს" არ შეეძლო დაეჩრდილა დ. ბაქრაძე. მისი შემოქმედების მნიშვნელობა მაშინაც დიდი იყო და მომავლისათვისაც ფასდაუდებელი. გადაჭარბებულად არ შეიძლება ჩაითვალოს მ. ჯანაშვილის წერილი გაზეთ „ივერიაში" დ. ბაქრაძის დასაფლავების დღეს, სადაც ის ამბობდა, დ. ბაქრაძემ საქართველოს ისტორიის შესწავლას მკვიდრი საფუძველი დაუდოო.

კვლევა-ძიების ის საწყისები, რომლებიც დ. ბაქრაძემ მისცა ქართულ ისტორიოგრაფიას, გადიდდნენ და მეცნიერულ დისციპლინებად გადაიქცნენ XX საუკუნეში გამოჩენილი მეცნიერის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მდიდარი შემოქმედებით.

**დოც. აბ. კიკვიძე**

## საბჭოთა ხელოვნება 1940 წელს

16 თებერვალს ხელოვნების საქმეთა სრულიად - საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარესთან არსებული სამხატვრო საბჭოს სხდომა მიეძღვნა ძირითად შემოქმედებით ღონისძიებებს 1940 წლისათვის. ამ თემაზე მოხსენება გააკეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. მ. ბ. ხრაპჩენკომ.

— ჩვენი ხელოვნების ცხოვრებაში უდიდეს მოვლენას წარმოადგენს, — ამბობს ამხ. ხრაპჩენკო, — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება მუსიკის, ფერწერის, სკულპტურის, თეატრის, არქიტექტურისა და დრამატურგიის დარგში შესანიშნავი ნაშრომებისათვის სტალინის სახელობის პრემიების დაწესების შესახებ. ამ ღონისძიებამ უდიდესი სტიმული უნდა მისცეს საბჭოთა ხელოვნების შემდგომ ზრდას. პარტია და მთავრობა, ასეთ ყურადღებას აქცევენ რა ხელოვნებას, ხაზგასმით აღნიშნავენ მის როლს მასების კომუნისტურ აღზრდაში.

საბჭოთა დრამატურგებმა დასწერეს ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებნი, რომლებიც წელს დაიდგმებიან. მათ რიცხვს ეკუთვნიან: „კრემლის კურანტები" პოგოდინისა, „ქარბუქი" ლეონოვისა, „საშკა" ფინისა და სხვ. წელს დაიდგმება ახალი საბჭოთა ოპერები—„მე, მშრომელი ხალხის შვილი" პროკოფიევისა, „ვოლოჩაევსკის დღეები" ძერჟინსკისა, „ლიუბოვ იაროვაია" ენკესი, „მარია" კნიპერისა.

1940 წლის დიდი შემოქმედებითი ღონისძიებანი, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ საბჭოთა ხელოვნების შემდგომ აღმავლობას, ეს არის—ბელორუსული და ბურიატ-მონღოლური ხელოვნების დეკადები, ლენინგრადის თეატრების გასტროლები დედაქალაქში, საბჭოთა კომპოზიტორების სრულიად - საკავშირო ყრილობისათვის მზადება, მუსიკის მეორე ფესტივალის ჩატარება კოლმეურნეობებში, საბჭოთა მუსიკის ტრადიციული დეკადის ჩატარება, დიდი რუსი კომპოზიტორის ჩაიკოვსკის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაული, საბჭოთა მხატვრების სრულიად - საკავშირო ყრილობისათვის მზადება.

1940 წლისათვის დასახულ ღონისძიებათა გეგმის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. მ. მიხოელსმა, რსფსრ სახალხო არტისტმა ი. ი. სუდაკოვმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა ა. დ. პოპოვმა, ი. ო. დუნაევსკიმ და სხვ. (საკდესი).

## კრედიტები საბინაო მშენებლობისათვის

სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა კრედიტები გახსნა სოფლის ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის. სოფლად მცხოვრები მუშებისა და სპეციალისტებისათვის წელს გადადებულია 47,5 მილიონი მანეთი (იმ სახსრებს გარდა, რომლებიც გადადებულია საბინაო მშენებლობისათვის მრეწველობის ხაზით). სოფლად მომუშავე ექიმები წელს საბინაო მშენებლობისათვის მიიღებენ 1,5 მილიონ მანეთ კრედიტს. მასწავლებლებს გაუხსნეს 6 მილიონი მანეთი კრედიტი, სოფლის მეურნეობის იმ სპეციალისტებს, რომელნიც წარმოებაში იგზავნებიან—25 მილიონი მანეთი და სხვ.

კრედიტი გაიცემა დაახლოებით 5 წლის ვადით. (საკდესი).

## რუმინული ჟურნალი ამხელს ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტურ გეგმებს

**ბუქარესტი,** 20 თებერვალი (საკდესი). [illegible]

...უმოქმედობა დასავლეთის ფრონტზე, გაძლიერდეს დახმარება ფინეთისადმი, როგორც ლენინგრადზე თავდასხმის პლაცდარმისადმი, გავრცელდეს ომი ჩრდილოეთისაკენ და ამით ახალი ფრონტი შეიქმნას გერმანიის წინააღმდეგ, ომში ჩაებას სსრ კავშირი".

## ლიტვის პრესა ფინეთში წარმოებული სამხედრო მოქმედების შესახებ

**კაუნასი,** 20 თებერვალი (საკდესი). [illegible]

...ლი ხარვეზი გამოეყენებინა თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მიუხედავად იმისა, რომ წითელი არმიის მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. ფინეთის უკანდახეული არმია თავის გზაზე ყველაფერს სპობდა და ანადგურებდა და ამით წითელ არმიელებს აიძულებდა ღია ცის ქვეშ დარჩენილიყვნენ 50-გრადუსიან სიცივეში.

ახლა წითელმა არმიამ გადასწყვიტა გაერღვია ფინეთის თავდაცვითი ხაზი, რომელიც გზას უღობავდა ფინეთის ყველა უმნიშვნელოვანესი ცენტრისაკენ. სამხედრო თვალსაზრისით ეს მეტად მძიმე ამოცანა იყო. როგორც ვიცით, დასავლეთში ვერცერთი მეომარი მხარე დღემდე ვერ ჰბედავს იერიში მიიტანოს მტრის სიმაგრეებზე. ფინეთის გამაგ- [illegible]

მაჟინოს ტიპის თანამედროვე ხაზი ისტორიაში პირველად იქნა გარღვეული 16 დღის განმავლობაში და, უეჭველია, ამ გამოცდილებას ფართოდ გამოიყენებენ მეომარი მხარეები დასავლეთის ფრონტზე.

მანერჰაიმის ხაზის გარღვევა, რაც უმაგალითო გაქანებითა და შეუდარებელი ორგანიზებულობით იქნა განხორციელებული, აახლოებს ომის დამთავრებას ფინეთში.

ფინეთის გამაგრებული ხაზების გარღვევა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ფინეთის ომი მალე დამთავრდება ნამდვილად და ამით ლიკვიდირებულ იქნება ევროპის ომის ერთერთი უაღრესად საშიშარი კერა, რომელიც გარეშე პოლიტიკურმა ფაქტორებმა შექმნეს".

## მანერჰაიმისათვის დახმარების აღმოჩენის წინააღმდეგ

**ოსლო,** 19 თებერვალი (საკდესი). გაზეთმა „არბაიდარენმა" გამოაქვეყნა ქალაქ ეივეს ნიკელის ქარხნის მუშათა საერთო კრების რეზოლუცია. მუშები გადაჭრით აცხადებენ პროტესტს თეთრფინელებისათვის დახმარების აღმოჩენის წინააღმდეგ. კრებამ მოუწოდა მუშებს არ მიიღონ მონაწილეობა თეთრფინელებისათვის „შრომითი დახმარების" რაზმებში, რომლებსაც პროფბიუროკრატები აწყობენ და რომლებიც „მუშათა ჯალათის მანერჰაიმის დამხმარე ნორვეგიულ ორგანიზაციას წარმოადგენენ".

კონსმოს რკინიგზელები მიესალმნენ ფინეთის სახალხო მთავრობას და ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: „რკინიგზელთა გაერთიანება მხურვალე სიმპატიას გამოსთქვამს ფინელი მშრომელი ხალხისადმი". „ჩვენს ქვეყანას, — ნათქვამია რეზოლუციაში, — მოელის საფრთხე, რომ იგი ჩაბმულ იქნება დიდ სახელმწიფოებს შორის გაჩაღებულ ომში. იმისთვის, რომ ნორვეგიამ შესძლოს ომის გარეშე დარჩენა, მან უსასტიკესი ნეიტრალიტეტის პოლიტიკა უნდა დაიცვას".

ქალაქ სარპსბორგის მუშა ახალგაზრდობამ კრებაზე მიიღო რეზოლუცია, რომელშიც სწერს: „კრებას მიაჩნია, რომ თეთრფინეთში გასაგზავნად მუშათა და „მოხალისეთა" შეგროვების კამპანია აშკარა სამხედრო დახმარებას უდრის, რაც ნორვეგიის ნეიტრალიტეტის დარღვევას წარმოადგენს".

**ლონდონი,** 19 თებერვალი (საკდესი). პროფკავშირული და ლეიბორისტული ორგანიზაციების დელეგატებმა, რომელნიც შეიკრიბნენ კონფერენციაზე კარდიფში, მიიღეს რეზოლუცია, სადაც მოითხოვენ, რათა ლეიბორისტული პარტიის აღმასკომმა გადაჭრით გაილაშქროს მანერჰაიმისათვის დახმარების აღმოჩენის წინააღმდეგ.

## სენატორ ნაის განცხადება

**ნიუ-იორკი,** 20 თებერვალი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, სენატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრმა სენატორმა — რესპუბლიკელმა ნაიმ (ჩრდილოეთ დაკოტის შტატი) განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ებმებიან ომში, ხოლო მთავრობა არავითარ ზომებს არ იღებს, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს ამას. მხოლოდ ევროპის ომის თავის დროზე შეწყვეტით შეიძლება თავიდან იქნას აცილებული ამერიკის შეერთებული შტატების ჩაბმა ომში. ნაიმ, რომელიც 1933-1936 წლებში ხელმძღვანელობდა სენატის კომისიას, გამოყოფილს სამხედრო მრეწველობის გამოსაკვლევად, აღნიშნა, რომ სამხედრო მასალების გაძლიერებული ექსპორტი ევროპაში გამოიწვევს ამერიკის მიერ მეომარი ქვეყნებისათვის კრედიტების მიცემას და, საბოლოო ანგარიშით, ამერიკის შეერთებული შტატები ჩაებმებიან ომში. იარაღის გატანის ემბარგოს გაუქმებამ მოსპო დაბრკოლება ამერიკის შეერთებული შტატების ომში ჩაბმისათვის. „ჩვენ, — განაცხადა ნაიმ, — მივდივართ იმავე გზით, რა გზასაც 1915 წელს ვადგით. მსგავსება განსაცვიფრებელია".

შემდეგ ნაიმ აღნიშნა, რომ უელსის გამგზავრება ევროპაში, სავსებით ანალოგიურია პრეზიდენტ ვილსონის მრჩევლის პოლკოვნიკ ჰაუზის მისიისა. ნაიმ შეიტანა წინადადება აღდგენილ იქნას იარაღის გატანის ემბარგო. ამავე დროს მან გადაჭრით გაილაშქრა იაპონიაში ექსპორტის ემბარგოს შემოღების წინააღმდეგ, რადგან ეს, მისი აზრით, სავალალო ღონისძიებებს გამოიწვევს.

## „ჩიკაგო დეილი ნიუსი" ფინეთში არსებული მდგომარეობის შესახებ

**ნიუ-იორკი,** 20 თებერვალი (საკდესი). გაზეთი „ჩიკაგო დეილი ნიუსი" იუწყება: „ამჟამად სავსებით ნათელია, რომ საბჭოთა ჯარი, რომელმაც გაარღვია მანერჰაიმის თავდაცვის მთავარი ხაზი, ემუქრება ფინეთის ფრონტის მთელ დასავლეთ ნახევარს, და მას შესაძლებლობა აქვს იერიში მიიტანოს ვიბორგზე. დაიწყო ფინეთის მიერ კარელიის ყელის დაცვის ყველაზე მწვავე სტადია, რომლის შედეგის წინასწარმეტყველება შეუძლებელია". საბჭოთა არტილერია, აღნიშნავს გაზეთი, უკეთესად და უფრო შორსმსროლელად ითვლება, ვიდრე ინგლისის არტილერია.

## საფრანგეთმა კვლავ პროტესტი განუცხადა იაპონიას

**ტოკიო,** 20 თებერვალი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ 20 თებერვალს საფრანგეთის ელჩმა ტოკიოში ანრიმ ინახულა იაპონიის საგარეო საქმეთა ვიცე-მინისტრი ტანი, რომელსაც განმეორებით პროტესტი განუცხადა იაპონიის ავიაციის მიერ ხანოი-კუნმინის რკინიგზის ბომბარდირების გამო.

## იაპონიის თვითმფრინავების ახალი თავდასხმა ხანოი-კუნმინის რკინიგზაზე

**ნიუ-იორკი,** 19 თებერვალი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ იაპონიის თვითმფრინავებმა გუშინ კვლავ მოახდინეს ხანოი-კუნმინის რკინიგზის ბომბარდირება იმ პუნქტში, რომელიც საფრანგეთის ინდო-ჩინეთის საზღვრის მახლობლად მდებარეობს. ბომბარდირებით დანგრეულია რკინიგზის ვიადუკი.

## ჰოლანდიის პროტესტი გერმანიისადმი

**ნიუ-იორკი,** 20 თებერვალი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ჰოლანდიის მთავრობამ თავის ელჩს ბერლინში დაავალა პროტესტი განაცხადოს ჰოლანდიის გემის „არენდსკერკის" „უკანონოდ მოსპობის" წინააღმდეგ. ეს გემი გერმანიის გემებმა ჩასძირეს იანვრის შუა რიცხვებში. ჰოლანდიის მთავრობა მოითხოვს კომპენსაციას ჩაძირული გემისათვის.

## ჩინეთის ჯარმა ნანინი დაიკავა

**ჩუნცინი,** 20 თებერვალი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო ჩუნცინიდან ჰგზავნის გუანსის პროვინციის ჩინეთის სარდლობის ცნობას, რომელშიც ნათქვამია: ჩინეთის ჯართან ბრძოლას აწარმოებენ იაპონიის ჯარის კოლონები, რომლებიც ჰფარავენ იაპონიის მთავარი ძალების უკანდახევას ნანინიდან. ამ ბრძოლაში იაპონელებმა დიდი ზარალი განიცადეს, რის შედეგადაც იძულებული გახდნენ ქალაქი დაეტოვებინათ.

O

**ლონდონი,** 20 თებერვალი (საკდესი). ექსჩეინჯ ტელეგრაფის სააგენტოს ჰონკონგელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩინეთის წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ჩინეთის ჯარმა დაიკავა ნანინი.

## დომეი ცუსინის სააგენტოს ცნობა

**ტოკიო,** 20 თებერვალი (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატაში ბიუჯეტის განხილვის დროს, 13 თებერვალს, მინსეიტოს დეპუტატმა კიტა რეიკიციმ წინადადება შეიტანა, მოსპობილ იქნას მთლად კატები და ძაღლები, რომლებიც „ამ არაჩვეულებრივ პერიოდში ზედმეტ ბარგს წარმოადგენენო".

ამ წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა სამხედრო მინისტრი გენერალი ხატა, რომელმაც განაცხადა: „კატებისა და ძაღლების მოსპობა არაადამიანური აქტი იქნებოდა" და „არასასურველია იაპონელებს წავართვათ მათი საყვარელი ცხოველებიო".

დღეს, — იუწყება სააგენტო, — „ჰუმანიურობის იაპონელთა საზოგადოებამ" გენერალი ხატა ვერცხლის მედლითა და საპატიო სიგელით დააჯილდოვა „კატებისა და ძაღლების გადარჩენისათვის".

## კომკავშირელთა დევნა საფრანგეთში

**ნიუ-იორკი,** 19 თებერვალი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, სასამართლომ 10 კაცს, რომელთაც ბრალდებოდათ კომკავშირის წევრობა, მიუსაჯა სამ-სამი წლის პატიმრობა. ერთს 15 წლის ბრალდებულს მიესაჯა 6 თვის პატიმრობა, დედა მისს — 2 წლის პატიმრობა.

# ფრედერიკ შოპენი

(დაბადებიდან 130 წლისთავის გამო)

შოპენის ქმნილებანი ეკუთვნიან მუსიკალური ხელოვნების უდიდეს ნაწარმოებთ, ხელოვნებისა, რომლის მწვერვალებს XIX საუკუნეში მიაღწიეს ბეთჰოვენმა, ლისტმა, ბერლიოზმა, ვაგნერმა...

შოპენის ბავშვობა ბევრი რამით წააგავს მოცარტის ბავშვობის წლებს. ჯერ კიდევ ორი წლისაც არ იყო, როცა იგი უკვე მგზნებარედ განიცდიდა მუსიკას. 7-8 წლის შოპენი როგორც პიანისტი გამოდის ჯერ ვარშავის არისტოკრატიულ სალონებში, ხოლო შემდეგ საჯარო კონცერტზე. პაწია „შოპენიკს" სახელი, როგორც მას ალერსით უწოდებდნენ ვარშავის მცხოვრებნი, დიდად პოპულარული ხდება. პოლონეთის მაღალი წოდების წარმომადგენელნი ერთმანეთს ეცილებიან ბავშვის მიპატიჟებაში, სასახლეშიც კი დაჰყავთ იგი რუსეთის მეფის მოადგილესთან პოლონეთში—კონსტანტინე რომანოვთან.

1817 წელს, როცა შოპენს 7 წელი შეუსრულდა, უკვე ქვეყნდება მისი პირველი თხზულებანი „სასწაულთმოქმედი ფრიცკა"—„პოლონეზი" და „სამხედრო მარში". ნიკოლოზ შოპენი—ფრედერიკის მამა, ვარშავის ერთერთი ლიცეუმის უბრალო მასწავლებელი, არ ცდილობდა



ვუნდერკინდად გადაექცია ბავშვი. იგი თვალყურს ადევნებდა, რომ ახალგაზრდა მუსიკოსს ესწავლა. და შოპენიც უდიდეს გულმოდგინებას იჩენდა მუშაობაში (ეს თვისება მას მთელი სიცოცხლის მანძილზე ახასიათებდა).

1826 წელს, ლიცეუმის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდა კომპოზიტორი პირველად მიემგზავრება საზღვარგარეთ, ბერლინს. 1829 წელს შოპენი პირველად მიდის ვენას, სადაც იგი უდიდესი წარმატებით გამოდის, როგორც პიანისტი და კომპოზიტორი.

1831 წელს შოპენი პარიზს გადავიდა. აქ იგი საკმაოდ სწრაფად დაუახლოვდა იმ დროის მოწინავე ხელოვნების წარმომადგენელთა ჯგუფს. მის მეგობართა შორის არიან—ლისტი, დელაკრუა, პოლინა ვიარდო, ჰაინე, მიცკევიჩი.

უკვე 1832 წელს შოპენი ხშირად მართავს კონცერტებს. მისი კონცერტის შემდეგ ერარის დარბაზში ჰექტორ ბერლიოზი სწერდა: „შოპენი როგორც შემსრულებელი და როგორც კომპოზიტორი განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს, მას არაფერი აქვს საერთო არცერთ ჩემთვის ცნობილ მუსიკოსთან".

მაგრამ დიდების შარავანდედით მოსილი შოპენის მატერიალური მდგომარეობა სრულიადაც არ არის ბრწყინვალე. ამასთან დაკავშირებით, კომპოზიტორი ამერიკაშიც კი აპირებს გადასვლას და მხოლოდ ცნობილი მდიდრის როტშილდის სალონში შემთხვევითი გამოსვლა აძლევს შოპენს ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფილი არსებობის შესაძლებლობას. ეს არის გაკვეთილები, წარჩინებულთა შვილებთან ყოველდღიური მეცადინეობის ხანგრძლივი საათები.

გაკვეთილები ბევრ დროსა და ძალას ართმევდნენ შოპენს. და მაინც სწორედ ამ პერიოდში იწყება მისი ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერი ხანა. იგი ბევრსა და განუწყვეტლივ სწერს. ერთი-მეორეზე იქმნება მისი შემოქმედებითი შედევრები: 24 პრელიუდი, 12 ეტიუდი, პირველი ორი ბალადა, პოლონეზები, სკერცოები, ნოქტიურნები, მაზურკები, ვალსები...

იგი გასაოცარი გულმოდგინებით მუშაობს. როცა მის ნაწარმოებთ ისმენ, გგონია, რომ ისინი ერთი შემოქმედებითი აღმაფრენის შედეგია. ნამდვილად ასე როდი იყო. ჟორჟ სანდმა შემდეგში აღწერა შოპენის შემოქმედებითი პროცესი: „იგი მთელ დღეს კარჩაკეტილი ატარებდა, თავის ოთახში, მიმოდიოდა, სტიროდა, კალმებს ამტვრევდა, იმეორებდა და ასჯერ სცვლიდა ერთ და იმავე ტაქტს, დაუსრულებლად შლიდა და ხელახლა სწერდა მას, დიდი გულმოდგინებით აღადგენდა ხოლმე იმავე სამუშაოს მეორე დღეს, რასაც იგი ხშირად სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდა. იგი ექვს კვირას ანდომებდა ერთი გვერდის გასწორებას და იყო შემთხვევები, რომ მას სწერდა იმავე სახით, რა სახითაც პირველად წარმოიშვა".

შოპენის შეხვედრა და შემდეგ დაახლოება მწერალ ჟორჟ სანდთან 1837-38 წლებში მოხდა. მათი ერთად ცხოვრების წლები შემოქმედებითი გაფურჩქვნის წლები იყო მისთვის. ამავე დროს მისი ტუბერკულოზი ჟორჟ სანდის მზრუნველობის მეოხებით ისე მძლავრად ველარ იჩენდა თავს.

1846 წლიდან იწყება შოპენის ცხოვრების ტრაგიკული პერიოდი. ჟორჟ სანდთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ შოპენს სავსებით მოერია ავადმყოფობა. ინგლისში კონცერტების გამართვის შემდეგ იგი პარიზს ბრუნდება უკვე უნუგეშო მდგომარეობაში. შოპენი გარდაიცვალა 1849 წლის 17 ოქტომბერს.

XVIII საუკუნის დიდი გენიოსის მოცარტის მსგავსად შოპენი XIX საუკუნეში მუსიკის ისტორიაში შევიდა, როგორც საყვარელი მუსიკოსი-ხელოვანი. მოცარტის მსგავსად, შოპენის თაყვანისცემა, დაწყებული კომპოზიტორის სიცოცხლეშივე, შემდეგ უკვე არ გამქრალა და არ შესუსტებულა.

შოპენის შემოქმედება აღსავსეა წარმტაცი გრაციით, გამოუთქმელი სილამაზით, უნაზესი გემოვნებით. მაგრამ ეს თვისებანი მას არასოდეს არ გადაუქცევია უშინაარსო დახვეწილობად, გარეგნულ ნატიფობად. მათთან ერთად ადამიანი მუდამ გრძნობს მხურვალე გულს, მაღალ გონებას და მგზნებარე ტემპერამენტს დიდი მხატვრისას, რომელიც ზედავდა ცხოვრებას მთელი მისი მრავალმხრივობით, მთელი მისი წინააღმდეგობითა და ზოგჯერ ტრაგიკული კონფლიქტებით.

შოპენი, რომელიც არასოდეს არ სწერდა სპეციალურად მუსიკალური თეატრისათვის, ამავე დროს დიდი მუსიკოსი დრამატურგია. ეს იგრძნობა არა მარტო თავისი მხატვრული მასშტაბით, ისეთ გიგანტურ ნაწარმოებებში, როგორიცაა სონატა სამგლოვიარო მარშით, მეოთხე ბალადა, „ფანტაზია", არამედ აგრეთვე ყოველ ნოქტიურნში, ყოველ პრელიუდში 24 პრელიუდს შორის, რომელთაგან თვითეულს შეეძლო უკვდავეყო კომპოზიტორის სახელი.

მელოდია შოპენის მუსიკის სულია. უსაზღვროდ მრავალფეროვანი, იგი მთავარია შოპენის ყოველ ნაწარმოებში. ამ მელოდიზმის ფესვები არის ხალხურ სიმღერაში, რომელიც კომპოზიტორმა იცოდა, უყვარდა და სწავლობდა ბავშვობიდანვე. შოპენის ბევრი ნაწარმოები წარმოადგენს ხალხის ცხოვრების სურათების ერთგვარ ასახვას მუსიკალური ბგერებით.

შოპენი მთელს თავის სიცოცხლეში თითქმის მხოლოდდამხოლოდ ფორტეპიანოსთვის წერდა. მან, გენიალურმა პიანისტმა ყველა მუსიკოსზე მეტად გააფართოვა წარმოდგენა როიალის—ამ „ინსტრუმენტთა მეფის" გამომეტყველების შესაძლებლობათა შესახებ. ლისტთან ერთად შოპენი მთელი თანამედროვე საფორტეპიანო შემოქმედების მამამთავარია.

შესანიშნავად სთქვა შოპენზე ჰაინრიხ ჰაინემ.

„—დიახ, შოპენი აღიარებულ უნდა იქნას გენიოსად ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იგი არის არა მარტო ვირტუოზი, არამედ პოეტიც. მას შეუძლია ჩვენთვის თვალსაჩინო გახადოს ის პოეზია, რომელიც მის სულში ცოცხლობს... იგი არ არის არც პოლონელი, არც ფრანგი, არც გერმანელი, მასში მჟღავნდება გაცილებით უფრო მაღალი წარმოშობა... იგი მოცარტის, რაფაელის, გოეთეს ქვეყნის შვილია, მისი ნამდვილი სამშობლოა პოეზიის მომხიბლავი სამეფო".

**დ. რაბინოვიჩი**

## კოლმეურნე ცხენოსანთა გადარბენა

**ქუთაისი** (საკ. კორ.). საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 19 წლისთავთან და წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 22 წლისთავთან დაკავშირებით ქუთაისში მოეწყო კოლმეურნე ცხენოსანთა გადარბენა მარშრუტით: ქუთაისი — წულუკიძე — სამტრედია — ქუთაისი. გადარბენაში მონაწილეობა მიიღო 60 ცხენოსანმა კოლმეურნემ, მათ შორის 10 ქალმა.

**ე. გვასალია**



„გადასასვლელზე" ხაშურის თეატრში. **სურათზე**—სცენა საკანში. მსახიობი შ. ქელბაქიანი (სტალინის როლში).

## „გადასასვლელზე" ხაშურის თეატრში

ი. გედევანიშვილის კოლორიტული პიესა „გადასასვლელზე" ხაშურის მაყურებლისათვის საკმაოდ გასაგები და მახლობელია. ამიტომ ბუნებრივია ის პასუხისმგებლობა, რომელიც იკისრა თეატრის კოლექტივმა მისი დადგმით.

საქმე ისაა, რომ ხაშურის თეატრს განსაკუთრებულ პირობებში უხდება მუშაობა, ისეთ პირობებში, რომლებიც ბევრი ჩვენი რაიონული თეატრებისათვის უკვე ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ თეატრს არა აქვს საკუთარი შენობა. რკინიგზელთა კლუბში, რომელიც თვეში 15 წარმოდგენისათვის თეატრს იჯარით ეთმობა, იგი ვერც კი ახერხებს რეპეტიციების ხეირიანად გავლას. ამ პირობებში ი. გედევანიშვილის პიესის დადგმა თეატრისათვის ერთგვარი რისკიც იყო, მაგრამ ხაშურელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს რისკი საბოლოო ჯამში ნაყოფიერი შემოქმედებითი გამბედაობაა, რითაც ახალგაზრდა კოლექტივმა ცხადჰყო თავისი ბეჯითობა, სცენისადმი ერთგულება და სიყვარული.

სპექტაკლში გამოსული ახალგაზრდობის დიდ ნაწილს ჯერჯერობით, რასაკვირველია, ვერ მოვთხოვთ სცენიურ სახეთა სრულყოფით განსახიერებას, მაგრამ მათ სერიოზული მუშაობა მაინც გამოამჟღავნეს.

**კობა ჯუღაშვილის** როლში ხაშურის სცენაზე ვნახეთ ახალგაზრდა მსახიობი **შ. ქელბაქიანი.** მის მიერ შექმნილ სახეს კიდევ ესაჭიროება გულმოდგინე მუშაობა გარეგნული პორტრეტული მსგავსების მისაღწევად, მაგრამ თამაშის მოსაწონი ზომიერებითა და უშუალობით შ. ქელბაქიანი ახალგაზრდა ბელადის ხასიათს მკაფიოდ გადმოგვცემს. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი რჩება მაყურებლისათვის სცენა პარტიზანებთან, სცენა საკანში, სადაც შ. ქელბაქიანმა კარგი მეტყველება და ჟესტის აზრიანი გამოყენების უნარი გამოამჟღავნა.

მოძრაობისა და მეტყველების ბუნებრივი კილო ბევრ მსახიობს უპოვნია განსახიერებული გმირების სცენიურ სახეთა გადმოსაცემად. ამ მხრივ აღსანიშნავი არიან **გ. ომიაძე** (მიტრო), **შ. ხერხეულიძე** (ელიზბ), **ნ. თევდორაშვილი** (გაბუა), **ო. ძიძიგური** (სოფიო), **ა. ავლოხაშვილი** (ნოცა), **ა. პავლიაშვილი** (აზერბაიჯანელი მუშა-პატიმარი), **ი. თურმანიძე** (სტეფანე), **გ. თაყაიშვილი** (ყაზახთა ოფიცერი, ჯარისკაცი, ფოტოგრაფი).

თამაშის ამ კარგ თვისებას ყველა მსახიობი როდი ამჟღავნებს. განსაკუთრებით ეს შეეხება **ა. ციცქიშვილს,** რომელიც არაბუნებრივი მეტყველებით საწინააღმდეგო ეფექტს აღწევს და განსახიერებულ ტიპს დამაჯერებლობას უკარგავს.

როლების უკეთ დასაძლევად შემდგომი მუშაობა დასჭირდებათ **მ. ნოზაძეს** (ელენე), **ვ. ქარცივაძეს** (ბოქაული), **ა. მესხიძეს** (გიგოლა), **ქ. ჩერქეზიშვილს** (ტასო), **ი. გონცაძეს** (ხუცესი).

ნ. ჯაფარიძემ რელიეფურად გახსნა „გაიოზ ნიჟარაძის" ვინაობა და ამით მენშევიკების მოღალატური ბუნება მოხდენილად გადმოგვცა.

პიესაში მომქმედი პირების სიმრავლის გამო, ზოგიერთ მსახიობს ორი-სამი როლის შესრულება უხდება (ა. პავლიაშვილს, გ. თაყაიშვილს, ა. მესხიძეს, ა. ლოლაძეს, მ. ნოზაძეს და სხვ.). მართალია, ისინი ერთნაირი წარმატებით ვერ ასრულებენ ყველა როლს, მაგრამ სპექტაკლის საერთო დონეს უთუოდ დაბლა არ სწევენ.

სპექტაკლი კარგად შეუკრავს რეჟისორ **სიკო ვაჩნაძეს,** რეჟისორულად საინტერესოდ არის მოფიქრებული აზერბაიჯანელი მუშის ტიპი, ორიგინალურად არის მოცემული ბაზარი და სხვა მასობრივი სცენებიც. დასანანებელ ნაკლად მის მუშაობაში უნდა მივიჩნიოთ მეფანდურის გამოსვლა სოფიოს ცხედართან.

სპექტაკლი მხატვრულად გაუფორმებია მხატვარ **არ. ჟორდანიას** (მასვე ეკუთვნის სპექტაკლის გაფორმება გორის თეატრში). მხატვარი სრულიად განსხვავებულ ნამუშევარს გვიჩვენებს, რაც ხელს უწყობს მსახიობთა თამაშს.

ყოველმხრივი ქების ღირსია სპექტაკლის მუსიკა, რომელიც ეკუთვნის ხაშურის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორს **ს. მინდიაშვილს.** იგი სავსებით შეხამებულია სპექტაკლთან, სწორად ხსნის პიესის შინაარსს და, რაც მთავარია, უხვად იყენებს ქართლის მელოდიებს. განსაკუთრებით კარგია უვერტიურა, შესანიშნავია ბაზრის და ციხის სცენების მუსიკალური ქარგა. შედარებით დაუმთავრებელია სოფიოს სიკვდილის სცენა.

ორკესტრი, რომელიც თვითონ კომპოზიტორს მიჰყავდა, მთლიანად ხაშურის მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეებისაგან შესდგება. შესრულების დონე ადასტურებს, რომ ხაშურის ახალგაზრდობის მუსიკალური აღზრდის საქმე საიმედო პედაგოგების ხელშია.

„გადასასვლელზე" ხაშურის თეატრის მხატვრული კოლექტივის ზრდის მაჩვენებელი სპექტაკლია.

**გ. აბულაძე**

## ხელოვნების ოსტატთა კლუბში

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXII წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 19 წლისთავისათვის ხელოვნების ოსტატთა კლუბი გაცხოველებით ემზადება.

კლუბმა წინასწარ ჩაატარა მოხსენებები და საუბრები მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გმირულ წარსულზე, მოაწყო სპეციალური ფოტომასალების გამოფენა, რომელიც ასახავს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 19 წლისთავს.

25 თებერვალს კლუბი მართავს დიდ საღამოს.

საღამოს საკონცერტო ნაწილში მონაწილეობას მიიღებენ მომღერალთა ანსამბლი ამხ. ვ. ცაგარეიშვილის ხელმძღვანელობით, ცირკის და ესტრადის მსახიობები.

## დღეს თეატრებსა და კინოებში

**თეატრებში:** **საოპერა** — „რიგოლეტო" (ტალ. № 123, 4 აბ. 9 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — „ყაჩაღები" (ტალ. № 121), **მარჯანიშვილის სახელობის** — „შური", **მუსკომედია** — „ესპანელი მღვდელი".

**კინოებში:** **რუსთაველის სახ.** — „მთავრობის წევრი", **ოქტომბერი** — „შემალობა", **დამკვრელი** — „მეოთხე პერისკოპი", **კომკავშირელი** — „პირადი საქმე", **სპარტაკი** — „საზღვარზე", **ლუქსემბურგის სახ.** — „პატრიოტი", **26 კომ. სახ.** — „მეოთხე პერისკოპი", **კომინტერნი** — „ამანგელდი".

**პასუხისმგებელი რედაქტორი**
**ვ. ხატიაშვილი**


**ახალი სახელმწიფო ცირკი** ტელ. 3-11-44

24 და 25 თებერვალს

**ახალი ცირკის გახსნა**

24 თებერვლისათვის ბილეთები არ არის.

დაწყებულია ბილეთების წინასწარი გაყიდვა 25, 27, 28 და 29 თებერვლისათვის.

სალარო ღიაა დღის 12-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან.

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

26 თებერვალს საცირკის გამოსასვლელი დღეა.


## ქ. თბილისში ახლად შექმნილი ბიბლიოთეკების რეგისტრაციის შესახებ

### თბილისის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის სავალდებულო დადგენილება

**1939 წ. 10 დეკემბერი**

დაევალოთ ყველა დაწესებულების, საწარმოს და ორგანიზაციის (კლუბები, სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, პროფკავშირული, კოოპერატიული და სხვ. ორგანიზაციები) ხელმძღვანელებს ახლად შექმნილი, აგრეთვე რეორგანიზებული ბიბლიოთეკები გაატარონ რეგისტრაციაში თბილისის საბჭოს სახალხო განათლების განყოფილების მასობრივი განათლების სექტორში (ამ.-კავკასიის ფედერაციის ქ., № 3, მე-3 სართული, ოთახი 138).

**თბილისის საბჭოს თავმჯდომარე კოჭლამაზაშვილი.**
**თბილისის საბჭოს მდივანი ხეთაგური.**

525

ვარლამ ფირცხალავა იუწყება ნინო ქორფაშვილის საყვარელი მამის **ივანე ქორფაშვილის** გარდაცვალებას. 5302

მე-25 საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და პედპერსონალი იუწყებიან მარო იმნაძის მამის **კონსტანტინე იმნაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ლანჩხუთში 22/II. 5303

ცოლი გალინა, შვილი პავლე, მშობლები ონისიმე, ივლიტა ვაშაკიძეები იუწყებიან, რომ 24/II 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **სერგო ონისიმეს-ძე ვაშაკიძის** სამოქალაქო პანაშვიდი. 5317

შვილები მარუსია, თამარ, სიძე ვანო სულგულაძე, შვილიშვილები კუკური, ეთერ იუწყებიან, რომ 24/II 2½ ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია **ვარდიკო შარაშიძე-წითლიძის** სამოქალაქო პანაშვიდი. 5306

მთავარი საავტომობილო სამმართველოს დირექცია, პარტბიურო, კომკავშირის კომიტეტი და ადგილკომი იუწყებიან პარტბიუროს მდივნის და სტალინის რაისაბჭოს დეპუტატის **გრიგოლ სიმონის-ძე ცინცაძის** გარდაცვალებას. 5309

მეუღლე ევა, შვილები არჩილ, ვახტანგ, ნინო, რძალი ვერიკო, მიხეილ, სონა სეფაშვილები, შვილიშვილები იუწყებიან **მიხეილ გიორგის-ძე იანვარაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23/II 7 ს. გამოსვენება 24/II 4 ს. შემახის, 10. 5305

კალისტინა ცინცაძე ძმისწულებით, გაბრიელ რამიშვილი, რუთია კალანდაძისა ოჯახებით იუწყებიან ძვირფასი ძმისწულის **გრიშა სიმონის-ძე ცინცაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 22/II 4½ ს. ცხენის-წყალის, 3. (საბურთალო). 5308

მეგობრები: ს. ხიმშიაშვილი, ნ. თოთიბაძე, თ. ქარუმიძე, ლ. კალანდარიშვილი, ს. ჩიგოგიძე, ნ. მირიანაშვილი, ც. კეკელია, ფ. კობახიძე, მ. წივწივაძე, ს. ბადალიანი, ა. კვირიკაშვილი, პ. ლორთქიფანიძე, ა. კოპალატაძე და კ. ბარამიძე იუწყებიან ოლია ჯაკობიას მამის **პავლე ჯაკობიას** გარდაცვალებას.

მამა დიმიტრი, ცოლი კატუშა, ძმები თედორე, ალექსანდრე, ნესტორ ცოლშვილით, და ელპიტი, შვილები ჟულიეტა, იდიტა, მადლენა, გულნარა კუკულაძეები იუწყებიან **აკაკი დიმიტრის-ძე კუკულაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22/II 4 ს. ძველ აბაშაში. 5310

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექცია, პარტკომკავშირული ორგანიზაციები და ადგილკომი იუწყებიან **პავლე ჯაკობიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ცხაკაიაში, 22/II. 5313

მე-39 საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან ამავე ბაღის მასწავლებელ ბაბულია გრიგოლიას სიძის ექიმ **ლადო კოტეტიშვილის** გარდაცვალებას. 5314

ცოლი ელენე, ძმა ძიშვარდი ოჯახით, შვილები ალიოშა, სერგო, ბორის, გრიშა, ქეთო, მერი ქმრით, რძლები შურა, თამარ, ბაბორა შვილებით იუწყებიან **მელიტონ მაქსიმეს-ძე მამალაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 24/II 4 ს. გომბორის, 53. 5315

მშრომელთა დეპუტატების სტალინის სახელობის რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იუწყება მშრომელთა დეპუტატების სტალინის სახ. რაისაბჭოს დეპუტატის **გრიგოლ სიმონის-ძე ცინცაძის** გარდაცვალებას. 5316

უახლოესი მეგობრები ნ. ქავჟარაძე, ვ. ჯაფარიძე, თ. გარაყანიძე, ე. მეგვანაძე, დ. ქავჟარაძე, დ. ჩავლეიშვილი, გ. იაკობაშვილი, შ. თელია იუწყებიან ლუბა ყანჩაველიშვილის დედის **მინადორას** გარდაცვალებას. დაკრძალვა სამტრედიაში 22/II. 5307

ქალ. ფოთის ტროპიკულ სნეულებათა სადგურის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ექიმ **გრიშა პავლეს-ძე მეუნარგიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ფოთში 24/II. 5293

შინსახკომის ზესტაფონის რაიგანყოფილების მუშაკები იუწყებიან მილიციის ოპერატიული რწმუნებულის თანაშემწის ბორის მელიას შვილის **ჯემალის** გარდაცვალებას. 61

რკინიგზის პირველი სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი იუწყებიან ამავე სკოლის მასწავლებელ ოლია ჯაკობიას მამის **პავლე ჯაკობიას** გარდაცვალებას. 5296

ჩოხატაურის რაიკოოპკავშირის გამგეობა და თანამშრომლები იუწყებიან რაიკავშირის ეკონომისტ-ფინანსისტის **ლავრენტი ავქსენტის-ძე სიხარულიძის** გარდაცვალებას. 5297

მშობლები ონისიმე, მატრონე, ძმა ნოე, რძალი ლიზა, ძმისწულები გივი, ლილი სტურუები იუწყებიან, რომ 24/II ს. ხუნჯულაურში (სამტრედიის რ.) დანიშნულია **გალინა სტურუას** სამოქ. პანაშვიდი. 5298

მეუღლე კატო, შვილები კალინკა, ოლია, ერმილაოზ, ისიდორე, სევერიანე, თედორე, სიძე ვ. ლეკვეიშვილი, რძლები საშა, ეატუ, საშა, შვილიშვილები იუწყებიან **ივანე მათეს-ძე ჭაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/II ს. ეწერში (სამტრედიის რ.). 5299

მეუღლე შუშანიკა, შვილები ნადია, ქეთო, სიძე სერგო ნუცუბიძე, შვილიშვილი გურამ, ძმები ლეო, პართენ ცოლშვილით იუწყებიან **ვალერიან სტეფანეს-ძე ხვიჩიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/II 4 ს. პანაშვიდი 22, 23/II 7 ს. ეჩმიაძინის, 25. 5300

არჩილ და კახაბერ ჯაკობიები, ოთარ ბზიურია, გურამ და მარებ გერსამიები იუწყებიან საყვარელი ბაბუას **პავლე ფატას-ძე ჯაკობიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22/II ქ. ცხაკაიაში. 5301


რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და [illegible] 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. მთავლიტის რწმუნებული № 155